ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

## რატომ დააკავეს საქართველოს 23 მოქალაქე თელ-ავივის აეროპორტში

საგარეო უწყება დეტალებს არკვევს



გვ.4

## 25 იანვრიდან

კანდიდ ჩარკვიანი

**სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები**

ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი




ოთხშაბათი, 25 იანვარი, 2017 №20 (7255) ფასი: 50 თეთრი

# „თუ გია ცერცვაძეს რუსეთს გადასცემთ, უკრაინას დავტოვებთ“



გვ.2

ქართული ლეგიონი ოფიციალურ კიევს ულტიმატუმს უყენებს



## ნიკა მელიამ ვანო მერაბიშვილის ფუნქციები შეითავსა

„უგულავა და ბოკერია პარლამენტში რომელ ამომრჩეველს წარმოადგენენ?!“

გვ.3



## ირაკლი სესიაშვილი: „გია ცერცვაძეს რუსეთს არ გადასცემენ“



გვ.2

ნინო კალანდაძე: „უკრაინის ხელისუფლების იმედი მაქვს“





გვ.4

## გიგლა ბარამიძე: „აშშ-ის ელჩი ჩვენს საქმეებში იმ დოზით ერევა, რის უფლებასაც ვაძლევთ“

„მოქმედი და ყოფილი ხელისუფლებებისგან კიდევ ბევრ სიურპრიზს უნდა ველოდოთ“

## რომან კაკულია სესხების გალარებაზე: „პასუხს ყველაფერზე მთავრობა აგებს“

გვ.6

## აფხაზეთს ელექტროენერგია ენგურჰესიდან უფასოდ მიაქვს




გვ.6

ISSN 1987-9385



გვ.6

## რას მოუტანს საქართველოს მსოფლიოში დამკვიდრებული ახალი რეალობა

რა საფრთხის წინაშე დგანან ამერიკის მოკავშირეები

ლურჯი წითელი ყვითელი შავი

# ირაკლი სესიაშვილი: „გია ცერცვაძეს რუსეთს არ გადასცემენ“

ნონა ცაბაძე

**გია ცერცვაძესთან დაკავშირებით „ახალი თაობა" პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილსა და ნაციონალური მოძრაობის წევრ ნინო კალანდაძეს ესაუბრა.**

ირაკლი სესიაშვილი ამბობს, რომ საქართველო თავის მოქალაქეებს არავის გადასცემს.

***– ბატონო ირაკლი, ოპოზიცია ხელისუფლებას მოღალატეობრივ ქმედებაში ადანაშაულებს გია ცერცვაძის საქმის გამო. რას იტყვით აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით?***

– რას ჰქვია მოღალატეობრივ ქმედებაში?! ვინ თქვა ეს?! თავხედია ის, ვინც ამას ამბობს.

***– ორი დღეა, მსგავსი განცხადებებით გამოდიან ნაციონალური მოძრაობის ყოფილი და ამჟამინდელი წევრები. ისინი აცხადებენ, რომ ჩვენი ქვეყნის მოქალაქე მტერს გადაეცით. ასეა?***

– ელემენტარულად, თავხედობის გარდა, ეს არის უპასუხისმგებლო და უსუსური პოლიტიკური განცხადება. ჩვენ ჩვენს მოქალაქეებს არავის გადავცემთ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ განცხადება გაავრცელა და გაეცანით იმ განცხადებას, თუ როგორ, რანაირად აღმოჩნდა გია ცერცვაძე უკრაინაში და რატომ მოხდა მისი დაკავება.

ეს ერთი და მეორეც, მაშინ, როდესაც ჩვენი ხელისუფლება დაკავებულია იმით, რომ ეს ადამიანი გადაარჩინოს და იხსნას იმისგან, რომ რუსეთის ხელში არ აღმოჩნდეს, მე მეჩვენება, რომ ოპოზიციისთვის ეს ადამიანი არის საშუალება იმისა, რომ პოლიტიკურად აჟიოტაჟი შექმნან და რაღაც ისტერიკები მოაწყონ!

***– რეალურად სხვაგვარად არის ვითარება?***



– ძალიან კარგად იცის ყველამ, რომ ამ და სხვა შემთხვევაშიც ჩვენი ქვეყანა ყველგან იცავს საკუთარ მოქალაქეს, ვინც არ უნდა იყოს ის! მე შემიძლია, სხვა მაგალითებიც მოგიყვანოთ არცთუ ისე შორეული წარსულიდან იმავე გივი თარგამაძის საქმესთან დაკავშირებით.

გივი თარგამაძე პოლიტიკურად ჩვენთვის არაფერს წარმოადგენდა, პირიქით, მასზე ძალიან ბევრი პასუხისმგებლობაა, თუმცა ჩვენ მას გვერდში დავუდექით, როდესაც ანალოგიური პრობლემა შეექმნა, არა იმიტომ, რომ გივი თარგამაძე იყო, არამედ იმიტომ, რომ ის ჩვენი მოქალაქე იყო და აქ ჩვენი ქვეყნის ინტერესები იყო!

***– დღეს რა შეიცვალა?***

– მოღალატეები მოიკითხონ იმ აზროვნებაში, რომელიც თავად აქვთ. საკუთარ რიგებში ეძებონ მოღალატეები! სახელმწიფო ყველაფერს გააკეთებს, რომ ეს ადამიანი რუსეთის ხელში არ აღმოჩნდეს და ასეც იქნება!

***– რა ბერკეტები არსებობს საიმისოდ, რომ არ მოხდეს მისი რუსეთში ექსტრადირება?***

– მე არ მინდა, დეტალებში შევიდე. არის ურთიერთობა უკრაინულ მხარესთან. სხვისგან განსხვავებით, არ დავიწყებ თავის ქებას, ჩვენ რას ვაკეთებთ და რა გავაკეთეთ აქამდე. შედეგზე რომ გავალთ, ეს იტყვის ყველაფერს და ეს სრულებით საკმარისი იქნება!

***– ცერცვაძის უკრაინელი ადვოკატი აცხადებს, რომ ქართულ მხარეს ჰქონდა ინფორმაცია, რომ ის იძებნებოდა და მისი მოქალაქე არ გააფრთხილა. ამაზე რას იტყვით?***

## ნინო კალანდაძე: „უკრაინის ხელისუფლების იმედი მაქვს“

– მე ყველას ვურჩევდი, წაიკითხოს შსს-ს განცხადება აღნიშნულ საქმეზე. იქ წერია, რომ მესაზღვრეს ვალდებულება არ აქვს, გააფრთხილოს. თუ ვინმე მიმითითებს, რომელი მუხლის საფუძველზე აქვს ვალდებულება, მაშინ შეგვიძლია ვიდავოთ და, თუ დამნაშავეა მესაზღვრე, პასუხი ვაგებინოთ, თუმცა არანაირი ვალდებულება არ არსებობს!

პირზე ძებნა იყო გამოცხადებული, თუმცა, რამდენადაც ჩვენს ქვეყანაში არ არსებობდა სისხლის სამართლის საქმე, ჩვენ მისი არც დაკავების და არც დაპატიმრების უფლება არ გვქონდა. ხაზგასმით ვამბობ, რომ ჩვენ გვაინტერესებს ამ ადამიანის გადარჩენა, მისი ბედი, ვიღაცას კი აინტერესებს, პოლიტიკურად რა მოიგოს და სად რა ქულა ჩაიწეროს.

***– კონკრეტულად რა დანაშაულის ჩადენას ედავება რუსული მხარე ცერცვაძეს?***

– ამას მე ნუ შემეკითხებით. მიუხედავად იმისა, რომ ვფლობ ამ ინფორმაციას, ეს უფრო იურისტების საქმეა და ამ შემთხვევაში მე არ შევალ კონკრეტულ დეტალებში.

***– ქართული მხარე კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით თანამშრომლობს მხოლოდ უკრაინულ მხარესთან თუ რუს სამართალდამცავებთანაც?***

– არა, რუსულ მხარესთან ჩვენ ურთიერთობა არ გვაქვს და არც გვქონია წლების განმავლობაში. ჩვენს სამართალდამცავ ორგანოებს შორის ურთიერთობა არ არსებობს.

***– ნაციონალები ბრალად გდებენ, რომ რუსულ მხარეს ინფორმაცია მიაწოდეთ ცერცვაძეზე. ასე არ რის?***

– ეს მორიგი ტყუილი იყო ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებისა. არანაირი ინფორმაცია არ მიგვიწოდებია. ესეც მოწმობს, რომ ნაციონალები მსგავსი ტყუილებით ცდილობენ ამ თემის პოლიტიზებას. ჩვენ ვთანამშრომლობთ იმ მხარესთან, რომლის გადასაწყვეტიც არის, გადასცეს თუ არა ცერცვაძე და ეს არის უკრაინა.

***– ნაციონალების მტკიცებით, ცერცვაძის შემთხვევა არ არის პირველი, რომ „ოცნების“ ხელისუფლებამ უკვე არაერთი ქართველი მებრძოლი გადასცა რუსულ მხარეს.***

– შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ ვერცერთ ფაქტს ვერ დადებენ, იმიტომ, რომ ბუნებაში არ არსებობს ასეთი რამე! რა უნდა ველაპარაკო იმ პოლიტიკურ ძალას, რომელსაც თავისი პოლიტიკური სტრატეგია აგებული აქვს ტყუილსა და ასეთ ბინძურ კამპანიაზე. მერწმუნეთ, ჩემთვის ღირებული არ არის ასეთ განცხადებებზე კომენტარის გაკეთება და ამ პოლიტიკურ სიბინძურეში ჩათრევა.

***– რამდენად იტოვებთ იმედს, რომ არ მოხდება ცერცვაძის რუსული მხარისთვის გადაცემა? არის ამის შანსები?***

– დიდია იმის შანსი, რომ ეს ადამიანი დაუბრუნდეს თავის ქვეყანას!

* * *

ნაციონალურმა მოძრაობამ საქართველოს მთავარ პროკურატურას ვიცეპოლკოვნიკ გიორგი ცერცვაძის საქმეზე გამოძიების დაწყების მოთხოვნით განცხადებით მიმართა.

ნაციონალები მიიჩნევენ, რომ საქმეში იკვეთება სისხლის სამართლის კოდექსის დანაშაული, რაც უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას გულისხმობს, ასევე – სისხლის სამართლის კოდექსის 319-ე მუხლის დარღვევა, რაც უცხო ქვეყნისთვის, უცხოეთის ორგანიზაციისთვის მტრულ საქმიანობაში დახმარებას გულისხმობს.

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთ ლიდერ ნინო კალანდაძის განცხადებით, ეჭვს არ იწვევს და უკვე აშკარაა, რომ საქართველოს ხელისუფლება არის კოლაბორაციონისტული და ჰყავს აშკარა წარმომადგენლები ხელისუფლებაში, რომლებიც თანამშრომლობენ ჩვენდამი მტრულად განწყობილი ქვეყნის ხელისუფლებასთან.

***– რა გაძლევთ ამ განცხადების გაკეთების საფუძველს?***

– თუნდაც ცერცვაძის შემთხვევაა ამის გამოვლინება. ყველამ ვიცოდით, რა შედეგი შეიძლება მოჰყოლოდა, თუ გაფრთხილების გარეშე საზღვარს გადააკვეთინებდნენ ამ ადამიანს.

***– რა უნდა გაეკეთებინა ხელისუფლებას?***

– საქართველოს ხელისუფლება ვალდებულია, თავისი მებრძოლები დაიცვას. მის მებრძოლებზე თუ საქმეა აღძრული, მით უმეტეს რუსეთის ფედერაციაში, ის ვალდებულია, ზომები მიიღოს და, შესაბამისად, ყველაზე გვიან, საზღვრის გადაკვეთისას, გააფრთხილოს თავისი მოქალაქე. ჩვენმა ხელისუფლებამ არამცთუ ეს არ გააკეთა და შეგნებულად არ გააფრთხილა, არამედ ინფორმაციაც გასცა.



***– ხელისუფლებაში აცხადებენ, რომ მესაზღვრის ვალდებულება არ არის, გააფრთხილოს ესა თუ ის პირი.***

– ხელისუფლების ვალდებულებაა, ესა თუ ის პირი საქმის კურსში ამყოფოს, როდის, რა შემთხვევაში და სად შეიძლება გაემგზავროს. მან ამის თაობაზე არათუ ზომები არ მიიღო, არამედ პირდაპირ ითანამშრომლა მტრულ სახელმწიფოსთან და საიდუმლო მასალები გადასცა ქართველი ჯარისკაცების შესახებ. ეს კი ვერ იქნება დამთხვევა ან შემთხვევითობა. ამიტომ მე განსაკუთრებულ იმედებს ვერ ვამყარებ საქართველოს ხელისუფლებაზე, რომ ის რაიმე ზომებს მიიღებს. უბრალოდ, იმედი მაქვს, უკრაინის ხელისუფლება აღმოჩნდება საიმისოდ კეთილგონიერი, რომ რუსეთს არ გადასცეს ჩვენი მოქალაქე.

***– თუკი ცერცვაძეს ის დანაშაული დაუმტკიცდა, რაშიც რუსული მხარე ედავება, მაინც აქვს უკრაინის მხარეს იმის ბერკეტი, რომ ის არ გადასცეს რუსეთს?***

– ცხადია! როგორი დანაშაულის დამტკიცების მცდელობაც უნდა იყოს, პოლიტიკური სარჩული აქ აშკარაა. ისიც აშკარაა, რისთვის ითხოვს რუსეთის ხელისუფლება ამ ადამიანის გადაცემას. სამწუხაროდ, ისიც უკვე აშკარაა, რისთვის ეხმარება ამაში ივანიშვილის ხელისუფლება.

# „თუ გია ცერცვაძეს რუსეთს გადასცემთ, უკრაინას დავტოვებთ“

## ქართული ლეგიონი ოფიციალურ კიევს ულტიმატუმს უყენებს

შორენა მარსაგიშვილი

**ვიცეპოლკოვნიკ გია ცერცვაძის საქმე კიდევ უფრო ხმაურიანი ხდება. მის მხარდასაჭერად თბილისში, შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, საპროტესტო აქცია გაიმართა, უკრაინაში კი ცერცვაძის თანამებრძოლებმა ოფიციალურ კიევს ულტიმატუმი წაუყენეს. ამის გარდა, კიევში მისი მხარდამჭერი აქციაც გაიმართა.**

საგანგებო განცხადება უკრაინაში მებრძოლი ქართული ლეგიონის მეთაურმა მამუკა მამულაშვილმა გააკეთა.

– იმ შემთხვევაში, თუ გია ცერცვაძეს რუსეთს გადასცემენ, ქართული ლეგიონი პროტესტის ნიშნად უკრაინას დატოვებს, – წერს მამუკა მამულაშვილი ფეისბუქის საკუთარ გვერდზე.

დღეისთვის უკრაინაში ქართულ ლეგიონში რამდენიმე ასეული ქართველი მებრძოლი იბრძვის. უკრაინის ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად რამდენიმე ქართველი დაიღუპა, რამდენიმე კი მძიმედ დაიჭრა. ქართული ლეგიონის მეთაური კი, რომელმაც კიევს ულტიმატუმი წაუყენა, უკრაინის უმაღლესი ჯილდოთი არის დაჯილდოებული.

საქართველოს მსგავსად, ცერცვაძის საქმეს უკრაინაშიც დიდი გამოხმაურება მოჰყვა. აქაური პოლიტიკოსებიც სთხოვენ თავიანთ ხელისუფლებას, ქართველი მებრძოლი რუსეთს არ გადასცენ.



უკრაინის გენერალური პროკურატურა დეტალების გარკვევას ინტერპოლთანაც აპირებს და არც ის არის გამორიცხული, პროკურატურამ დაკავებული ქართველის გათავისუფლება მოითხოვოს.

– ჩვენ გვსურს, მივმართოთ ინტერპოლის ფაილების კონტროლის კომისიას, რომ გაარკვიონ, მოხდა თუ არა ცერცვაძის საქმის საფუძვლიანი მოკვლევა, სანამ ის საერთაშორისო ძებნას გადასცეს. თუკი არსებობს რაიმე ინფორმაცია, რომ ეს არის პოლიტიკური ან სამხედრო დანაშაულისთვის დევნა, ასეთ შემთხვევაში ინტერპოლის წესდება პირის ძებნაში გადაცემას კრძალავს.

ბატონი ცერცვაძე რას უნდა ელოდოს ჩვენგან? როგორც იცით, სასამართლომ მიიღო 40-დღიანი წინასწარი პატიმრობის გადაწყვეტილება. ჩვენ ვიცით, რომ ის იღებდა მონაწილეობას ომში. როგორც კი ეს ფაქტი დადასტურდება, უკრაინის პროკურატურა მოითხოვს მის გათავისუფლებას, – განაცხადა რუსთავი 2-თან საუბარში უკრაინის გენპროკურორის მოადგილე ევგენი ენინმა.

მან თავი შეიკავა იმ ფაქტის შეფასებისას, რატომ არ აჩვენა საქართველოს გამშვებმა პუნქტმა, რომ გია ცერცვაძე ინტერპოლის მიერ იძებნებოდა და რატომ მოხდა მისი უკრაინაში უპრობლემოდ გაშვება.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი
კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ნიკა მელიამ ვანო მერაბიშვილის ფუნქციები შეითავსა

## „უგულავა და ბოკერია პარლამენტში რომელ ამომრჩეველს წარმოადგენენ?!"



„მე ვარ იქ, სადაც უკვე ოთხი წელია ვარ"

ნათია ხურცილავა

**ნაციონალური მოძრაობის პოლიტსაბჭოს თავმჯდომარე, დეპუტატი ნიკა მელია „ახალ თაობასთან" ინტერვიუში ვანო მერაბიშვილთან ციხეში შეხვედრის შესახებ და ბოლო დროს ნაციონალურ მოძრაობაში განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.**

***– ბატონო ნიკა, ნაციონალურ მოძრაობაში განვითარებული მოვლენები რამდენად იქონიებს გავლენას პარლამენტში ფრაქციის საქმიანობაზე და ზოგადად რა გეგმები აქვს პარტიას?***

– განვითარებული მოვლენები ფრაქციისა და ზოგადად პარტიის მუშაობაზე უფრო მეტი მოტივატორი იქნება. განახლებული ნაციონალური მოძრაობა იქნება ის ძალა, რომელიც გამარჯვებას მოგვიტანს ყველას, მთელ ქვეყანას. თქვენ დაინახავთ, რამდენი ახალი ადამიანი შემოგვიერთდება კიდევ.

ფრაქციას პარლამენტში რომან გოცირიძე უხელმძღვანელებს. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მხოლოდ საპარლამენტო ცხოვრებით იქნება ქვეყანაში მთავარი ოპოზიციური პარტია შემოფარგლული. პარტია აქტიურად იქნება ჩართული არასაპარლამენტო საქმიანობის მიმართულებითაც. დღეიდან რეგიონებში გავდივართ ადამიანებთან შესახვედრად. ჩვენ ვხედავთ, რომ ყოველდღიურად მძიმდება ქვეყანაში როგორც სოციალური, ისე პოლიტიკური ფონი.

***– აქციებსაც ითვალისწინებს განახლებული პარტიული საქმიანობა?***

– რა თქმა უნდა. ჩვენ ვიმოქმედებთ მხოლოდ და მხოლოდ ამომრჩევლისა და მოსახლეობის განწყობების შესაბამისად. ჩვენ ვართ პოლიტიკური გაერთიანება, რომელიც არის ხალხის ხმა როგორც პარლამენტში, ისე პარლამენტს გარეთ. ქვეყანაში, სადაც პრობლემები კი არ გვარდება, არამედ ღრმავდება, ბუნებრივია, არ არის არაფერი გამორიცხული.

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან საპროტესტო აქცია გვქონდა, რომელიც ეხებოდა დამსახურებულ სამხედროს, ვიცე-პოლკოვნიკ ცერცვაძეს, რომელსაც ყველა ომში აქვს მონაწილეობა მიღებული, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა თავისი უმოქმედობით, რომ შეიძლება ეს ადამიანი რუსეთის ხელში აღმოჩნდეს.

***– როგორც ვიცით, სალომე სამადაშვილს თქვენი პარტია ვიცე-სპიკერის პოზიციაზე წარადგენს.***

– დიახ, ეს უკვე გადაწყვეტილია. სალომე სამადაშვილი მაღალი რანგის დიპლომატია. ის არის კვალიფიციური პროფესიონალი, რომელიც არა მხოლოდ ნაციონალური მოძრაობისთვის არის მონაპოვარი, არამედ მთლიანად საკანონმდებლო ორგანოსთვის.

***– თქვენ სტუმრობდით ვანო მერაბიშვილს საკანში, როგორია მისი პოზიცია? ვიცით, რომ ის არ რჩება პარტიის გენერალური მდივნის პოზიციაზე და ასევე ტოვებს პარტიას. რა გითხრათ მან, რა არის მისი გადაწყვეტილების მოტივი?***

– ვანო მერაბიშვილთან დაკავშირებით ერთი რამ შემიძლია მხოლოდ გითხრათ: მისი პოზიციაა, რომ არ იყოს ერთიანი ნაციონალური მოძრაობის გენერალური მდივანი. დანარჩენ საკითხს რაც შეეხება, ამის შესახებ თავად გააკეთებს განცხადებას.

***– პარტია არ დაუტოვებია?***

– მე ვიყავი მერაბიშვილთან მხოლოდ ერთ კონკრეტულ საკითხზე შესული. ეს საკითხი უკვე გადაჭრილია და გადაწყვეტილებაც ცნობილია – ის აღარ არის პარტიის გენერალური მდივანი.

***– ახალი გენერალური მდივანი ვინ იქნება?***

– ახალი მართვის სისტემა შემოდის და არ გამოვრიცხავ, რომ ეს თანამდებობა საერთოდ გაუქმდეს.

***– ბატონო ნიკა, ასეთი მოსაზრებაც მოვისმინე, რომ თქვენი პოზიცია, რომელიც ბოლოს დააფიქსირეთ, ვგულისხმობ უგულავასთან და ბოკერიასთან ერთად იქნებოდით თუ არა, განპირობებული იყო იმით, რომ ნაციონალური მოძრაობის მართვის სადავეები ადგილზე თქვენს ხელში იქნებოდა. ასეა?***

– მე ვარ იქ, სადაც უკვე ოთხი წლის განმავლობაში ვარ. სამწუხაროდ, ჯგუფმა, რომელიც ნაციონალურ მოძრაობას გამოეყო, ზურგი შეაქცია ამომრჩეველს. ეს მათი გადაწყვეტილებაა. ადამიანები, რომლებიც 500 ათასი ამომრჩევლის წინაშე გრძნობენ პასუხისმგებლობას და მზად არიან, იყვნენ ივანიშვილის ხელისუფლების მწვავე ოპონენტები, ნაციონალურ მოძრაობაში დარჩნენ და არსად წასულან.

პარტია არ არის მხოლოდ დეპუტატები პარლამენტში, პარტია არის აქტიური მხარდამჭერები, ადამიანები, რომლებიც გაძლევენ სტიმულს, შესაძლებლობას ქვეყნის უკეთესი მომავლის შექმნისთვის. ნაციონალურ მოძრაობაში არიან ადამიანები, რომლებიც სწორედ ასე ფიქრობენ. ბოკერიას და უგულავას გადაწყვეტილებას გამართლება არ აქვს.

მე ვერ ვხვდები, დღეს ეს ადამიანები პარლამენტში ვის, რომელ ამომრჩეველს წარმოადგენენ?! „ქართულ ოცნებას" წარმოადგენენ? – არა. ასევე არ წარმოადგენენ არც ნაციონალური მოძრაობის ამომრჩეველს. გერქვას პარლამენტის წევრი და არ წარმოადგენდე არც ერთ ამომრჩეველს, ძალიან არაორდინარული მდგომარეობაა.

***– ბატონო ნიკა, ნაციონალური მოძრაობის მთავარი მმართველი თქვენ იქნებით? პარტიას ადგილზე ხომ სჭირდება მართვა.***

– პარტიის მთავარი ორგანო არის პოლიტიკური საბჭო. ყრილობაზე პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარედ ამირჩიეს. ეს არის მთავარი მმართველი ორგანო და ძალიან საპასუხისმგებლო პოზიცია. ეს არის კოლეგიალური ორგანო, სადაც გადაწყვეტილებები კოლეგიალურად მიიღება. ეს არის პარტიის პოლიტიკის განმსაზღვრელი ორგანო.

დღეს პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარე გენერალური მდივნის ფუნქციებსაც ითავსებს. ეს დიდი პასუხისმგებლობაა.

# გია ცერცვაძის მეუღლე: „როგორც გააფუჭეს საქმე, ისე გააკეთონ"

– როგორც გააფუჭეს ეს საქმე, ისე გააკეთონ, – ასე მიმართავს ვიცეპოლკოვნიკ გია ცერცვაძის მეუღლე ტატიანა ცერცვაძე-მესხი საქართველოს ხელისუფლებას.

ტატიანა ცერცვაძის განმარტებით, გია ცერცვაძეს არანაირი ინფორმაცია არ ჰქონდა იმის შესახებ, რომ მის წინააღმდეგ რუსეთში გამოძიება მიმდინარეობდა და არც ის იცოდა, რომ ინტერპოლის მიერ საერთაშორისო ძებნაში იმყოფებოდა.

– ადვოკატთან კავშირი არ მაქვს. მხოლოდ მეგობრებს ვუკავშირდები. არაფერი ვიცი, მათ შორის არც ის,



როდის იქნება სასამართლო პროცესი. ნაციონალური მოძრაობიდან მიკავშირდებიან, მაგრამ უკრაინის ან საქართველოს ხელისუფლებიდან არავინ დამკავშირებია. ვიგებ იმას, რაც მედიით გადის, – განუცხადა ტატიანა ცერცვაძემ ინტერპრესნიუსს.

რაც შეეხება უკრაინაში ცერცვაძის ცხოვრებისა და მიმოსვლის საკითხს, ვიცეპოლკოვნიკის მეუღლის თქმით, ის უკრაინაში მუშაობდა.

– მიდიოდა უკრაინაში, თავის გამოცდილებას უზიარებდა უკრაინელებს. დასაქმებული იყო. ბრძოლებში აქვს მონაწილეობა მიღებული. რაც შეეხება საქართველოს ხელისუფლებას – ამაზე მეტი რა უნდა ქნას, რაც მათ ჩაიდინეს და გააკეთეს? – გაწირეს ადამიანი, რომელიც ამ ქვეყანას იცავდა.

როგორც გააფუჭეს ეს საქმე, ისე გააკეთონ. ეს ყველაფერი იმის გამო მოხდა, რომ ჩემი მეუღლე ძალიან ბევრ ოპერაციაში მონაწილეობდა და ამ ხალხის მოშორება უნდათ, რუსეთის დავალებით, – აღნიშნა ტატიანა ცერცვაძემ.

ამასთან, ვიცეპოლკოვნიკის მეუღლემ აღნიშნა, რომ უკრაინის ხელისუფლებისა და ხალხის დახმარების იმედი აქვს.

– ჩვენი ხელისუფლების იმედი არ მაქვს, რომ ჩემს ქმარს დაიცავენ და მეშინია. მეშინია როგორც ექსტრადირების, ისე იმის, რომ მისი შვილები აქ ცხოვრობენ. ამ ქვეყანაში ყველაფერია მოსალოდნელი, არ ვიცი, რა ვიფიქრო. მე იმედს ვიტოვებ, რომ უკრაინელი ხალხი დაიცავს ჩემს მეუღლეს და უკრაინის სასამართლო სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებს, – აღნიშნა გია ცერცვაძის მეუღლემ.

# მიხეილ სააკაშვილი: „გია ცერცვაძის რუსეთისთვის გადაცემით თავი არ შეირცხვინოთ"

საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი უკრაინის ხელისუფლებასა და პრეზიდენტ პოროშენკოს მოუწოდებს, ქართველი ოფიცრის რუსეთისთვის გადაცემით თავი არ შეირცხვინონ.

მიხეილ სააკაშვილი გიორგი ცერცვაძის საქმეს ფეისბუქში ეხმაურება. როგორც მიხეილ სააკაშვილი წერს, საქართველოს შეიარაღებული ძალების ოფიცერი გმირულად იბრძოდა რუსი აგრესორების წინააღმდეგ როგორც საქართველოში, ასევე უკრაინაში.

– გია ბევრ საიდუმლო ოპერაციაში მონაწილეობდა დონბასში, მოგვიანებით კი უკრაინული სპეცრაზმის ინსტრუქტორი გახდა. რუსი ოლიგარქის ბიძინა ივანიშვილის მიერ მართულ საქართველოს ხელისუფლებას ძალიან არ უყვარს უკრაინისთვის მებრძოლი სამხედროები, ბევრ მათგანზე საქართველოში სისხლის სამართლის საქმე აღძრეს.



ქართულმა სპეცსამსახურებმა რუსეთს ცერცვაძის პირადი მონაცემები გადასცეს, რამაც რუსებს საშუალება მისცა, ის დაედანაშაულებინათ ფაბრიკაციულ საქმეში და ძებნა გამოეცხადებინათ. ეს მოსკოვის მხრიდან ჩვეულებრივი პრაქტიკაა და მას კარგად იცნობენ უკრაინაში, – წერს მიხეილ სააკაშვილი.

სააკაშვილის თქმით, ის ასევე გაოცებულია, რომ მოსკოვის მოთხოვნის საფუძველზე ცერცვაძე უკრაინელმა პოლიციელებმა დააკავეს და მისი ექსტრადიციის საკითხს განიხილავენ.

მისი თქმით, საზოგადოებრივი რეზონანსის შემდეგ, უკრაინის გენერალურმა პროკურატურამ განაცხადა, რომ ცერცვაძეს გაათავისუფლებენ, თუ ის მიიტანს ცნობას, რომ ნამდვილად მონაწილეობდა ოპერაციებში, თუმცა უკრაინის უშიშროების სამსახური, ოპერაციის საიდუმლოებაზე დაყრდნობით, უარს ამბობს აღნიშნული ცნობის გაცემაზე.

– მინდა, მივმართო უკრაინის ხელისუფლებას – თავი არ შეირცხვინოთ! განა ოფიციალურად დადასტურებული ცნობა, რომ ის მონაწილეობდა რუსეთ-საქართველოს ომში, საკმარისი მიზეზი არ არის, რომ არ გადასცეთ ის მტერს, სადაც სასიკვდილო საფრთხის წინაშე დადგება?! დღეს ასე ექცევიან ქართველ გმირებს, ხვალ კი უკრაინის ხელისუფლება ასევე მოექცევა უკრაინის გმირებს. თუ ქვეყანას არ შეუძლია, დაიცვას მისი დამცველები, ვინ დაიცავს მას ბოლომდე? – წერს სააკაშვილი.

ოდესის ოლქის ყოფილი გუბერნატორი უკრაინის პრეზიდენტს მოუწოდებს, სასწრაფოდ ჩაერიოს აღნიშნულ საკითხში და ხელისუფლებას დიდი სირცხვილი აარიდოს.

სააკაშვილის თქმით, მსგავსი შემთხვევა ცოტა ხნის წინ ლიტვაშიც დაფიქსირდა, თუმცა ხელისუფლების ერთ-ერთ მაღალჩინოსანთან მისი ზარის შემდეგ დაკავებული ოფიცერი მალევე გაუშვეს.

მიხეილ სააკაშვილი პოროშენკოს მოუწოდებს, ლიტვის ხელისუფლებას მიბაძოს.

**ინტერპრესნიუსი**

# ევროკავშირი საქართველოს სავიზო რეჟიმს მომავალ კვირას გააუქმებს?



ევროპული სამეზობლო პოლიტიკისა და გაწევრიანების თაობაზე მოლაპარაკებების საკითხებში ევროკომისარი იოჰანეს ჰანი იმედოვნებს, რომ ევროკავშირი შემდეგ კვირას საქართველოსთვის სავიზო რეჟიმის გაუქმებაზე გადაწყვეტილებას მიიღებს.

– ვიმედოვნებ, რომ შემდეგ კვირას ჩვენ გვექნება სავიზო რეჟიმის რეალური ლიბერალიზაცია საქართველოსთან. საქართველომ ეს დაიმსახურა, – განაცხადა იოჰანეს ჰანმა ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე სიტყვით გამოსვლისას.

ევროკომისარმა აღნიშნა, რომ საქართველო აქტიურად მუშაობდა საამისოდ.

– ყველა ვალდებულება, რომლებიც საქართველომ 2015 წლიდან აიღო, შესრულებულია, – აღნიშნა მან.

იოჰანეს ჰანი თვლის, რომ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის შემდეგ საქართველო კიდევ უფრო დაუახლოვდება ევროპას.

ევროპარლამენტის პლენარულ სესიაზე საქართველოს ვიზალიბერალიზაციის საკითხზე კენჭისყრა 2 თებერვალსაა ჩანიშნული.

# მამუკა ჟღენტი: „სტრასბურში წარდგენილი მოსამართლეების კანდიდატურები ჩავარდა"



სტრასბურში წარდგენილი მოსამართლეების კანდიდატურები ჩავარდა. ამის შესახებ ინტერპრესნიუსს ევროსაბჭოში საქართველოს ყოფილმა ელჩმა მამუკა ჟღენტმა განუცხადა.

მისივე ინფორმაციით, წინააღმდეგ ხმა 5-მა მისცა, 1 იყო მომხრე და ორმა თავი შეიკავა.

შეგახსენებთ, რომ გასული წლის 29-30 სექტემბერს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეთა შესარჩევი კომიტეტის სხდომაზე საქართველოდან წარდგენილ 3 კანდიდატთან – ევა გოცირიძე, ალექსანდრე ბარამიძე, გიორგი ბადაშვილი – გასაუბრებები გაიმართა, თუმცა კენჭისყრა 2017 წლის იანვრისთვის გადაიდო.

**გახდომა–გასუქება 5–20 კგ–ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1–დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. **ქ-ნი ქეთევანი**

მის. მეტრო „დიდუბე", წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# გიგლა ბარამიძე: „აშშ-ის ელჩი ჩვენს საქმეებში იმ დოზით ერევა, რის უფლებასაც ვაძლევთ“

## „მოქმედი და ყოფილი ხელისუფლებებისგან კიდევ ბევრ სიურპრიზს უნდა ველოდოთ“

შორენა მარსაგიშვილი



რა შეიცვლება ქართულ პოლიტიკაში, რატომ აქვთ საქართველოში აშშ-ის ელჩებს განსაკუთრებული უფლებები, რას უნდა ველოდოთ მოქმედი და ყოფილი ხელისუფლებებისგან? – ამ თემებზე „ახალ თაობას" ყოფილი პოლიტდევნილი გიგლა ბარამიძე ესაუბრება.

***– ბრიტანული მედიით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აშშ-ის ახალმა პრეზიდენტმა ტრამპმა 80 ქვეყნიდან გაიწვია ელჩები. როგორც ამბობენ, მათ შორის არის საქართველოში აშშ-ის ელჩი იან კელი, რომელიც ჩვენს პოლიტიკურ პროცესებში ძალიან აქტიურად იყო ჩართული.***

– კონკრეტულად იან კელიზე რამის დაკონკრეტება გამიჭირდება, რადგან ოფიციალური ინფორმაცია არ მაქვს. რაც შეეხება თავად საქართველოში აშშ-ის ელჩის თანამდებობას, ეს არ არის ელჩის თანამდებობა, ეს გახლავთ გენერალ-გუბერნატორის პოსტი, რომელიც საქართველოში წყვეტს მთელ რიგ მნიშვნელოვან საკითხებს. მასთან ლამის საკადრო პოლიტიკასაც კი ათანხმებენ.

***– ელჩის კომპეტენციაში შედის ამა თუ იმ ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევა?***

– წლების განმავლობაში მე თავად ვიყავი სრულუფლებიანი ელჩი და კარგად ვიცი, რა არის ელჩის ან საელჩოს მოვალეობა. იან კელის პროფესიონალიზმზე ნამდვილად ვერაფერს ვიტყვი, რადგან ეჭვი არ მეპარება, რომ ის თავისი საქმის მცოდნეა. რაც შეეხება იმას, თუ როგორ იქცევა ის საქართველოში, გეტყვით, რომ აშშ-ის საელჩო კარგა ხანია გამოსულია საელჩოს კომპეტენციიდან, რასაც სხვა ქვეყნების საელჩოებზე ვერ ვიტყვით. ამ კომპეტენციიდან არც აშშ-ის საელჩო გამოვიდოდა, მაგრამ ჩვენი ხელისუფლების ძალისხმევით ასე მოხდა.

საქართველოს ჰყავს უსუსური ხელისუფლება, რომელიც მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმას ვერ ბედავს. სახელმწიფო ინტერესებიც არ არის დაცული. ამერიკა არის ზესახელმწიფო და ესენიც მიეკედლნენ მის ელჩს. ყველაფერს მას უთანხმებენ.

***– ამის წინააღმდეგი არც თავად აშშ-ის ელჩი უნდა იყოს.***

– ის რატომ იქნება წინააღმდეგი? რევენ და ერევა ჩვენს საშინაო საქმეებში. ასეთი რამე მიუღებელია ყველა დამოუკიდებელი ქვეყნისთვის. ჩვენ უნდა გავითავისოთ, რომ არც კოლონია და არც შტატი ვართ. ჩვენ წარმოვადგენთ დამოუკიდებელ ქვეყანას და ჩვენს საშინაო საქმეებში დიდი დოზით არავინ უნდა ერეოდეს. ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ აქვს, ეს უცხო მეგობარი ქვეყნის ელჩია თუ არა.

***– ხელისუფლების ნება რომ არ ყოფილიყო, აშშ-ის საელჩო ამ დოზით არ ჩაერეოდა ჩვენს საქმეებში?***

– რა დოზითაც აძლევენ ჩარევის უფლებას, იმ დოზით ერევა საელჩო. ეს ჩვენი ხელისუფლების სისუსტეზე მეტყველებს და არა – ელჩის არაკომპეტენტურობაზე. ასე იყო წინა ხელისუფლების დროს და ასეა ახლაც.

ცოტა ხნის წინ ჩვენს რუსეთის ლიდერს წამოსცდა, საქართველოს პირველ პირებს შევხვდებიო. პრემიერი და პრეზიდენტი ერთმანეთს ასწრებდნენ, კი შევხვდებით პუტინს, მაგრამ ჯერ ჩვენს მეგობრებს შევუთანხმდებით დასავლეთშიო. როდესაც დამოუკიდებელი ქვეყანა ხარ, არ მესმის, რატომ უნდა შეუთანხმო შენი ქვეყნის პოლიტიკური დღის წესრიგი ვინმე სხვას.

ჩვენი ხელისუფლების უსუსურობისა და უთავმოყვარეობის გამოვლინება იყო გასული წლის 26 მაისი. იმ პერიოდისთვის საქართველოში სამხედრო წვრთნები ტარდებოდა. საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი გამართულ აღლუმზე ჯერ სხვადასხვა ქვეყნის სამხედროები ჩამოატარეს. ქართველმა სამხედროებმა სულ ბოლოს ჩამოიარეს. ეს ძალიან სამარცხვინოა, ისევე, როგორც ის ცვლილებები, რომელთა შეტანასაც აპირებენ კონსტიტუციაში.

***– რომელი ცვლილება მიგაჩნიათ სამარცხვინოდ?***

– კონსტიტუციაში აპირებენ იმის ჩაწერას, რომ საქართველოს უნდა ნატოში გაწევრიანება. გაგიგიათ კონსტიტუციაში იმის ჩაწერა, რომ რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციაში აპირებს ქვეყანა გაწევრიანებას? ეს ანეკდოტი და მარაზმია.

ყველა ელოდებოდა, რომ „ქართული ოცნება“ ამხელდა ნაციონალების სისტემურ დანაშაულს. ამის მაგივრად გააცოცხლეს და გაამრავალფეროვნეს ყოფილი ხელისუფლება. „ოცნების“ დახმარებით მათ სრული რებრენდინგი მოახდინეს. აქამდე მთავარი ოპოზიცია ერთი ნაციონალური მოძრაობა იყო. ახლა ამათ ევროპული ნაცები გააკეთეს და ორ-ორკაციანი დანამატებიც შექმნეს. პოლიტიკური ველი „ქართულ ოცნებასა“ და ნაციონალურ წარმონაქმნებს დარჩათ.

***– თავის დროზე შუა იმიტომ ხომ არ გაკრიფეს პოლიტიკიდან, ასე რომ მომხდარიყო?***

– რა თქმა უნდა, ამიტომ გაკრიფეს, არჩევნებზე მისული გაჭირვებული ამომრჩეველი არჩევანის გარეშე დატოვეს. ამომრჩეველმა იცის, რომ 41 ნომერი არაფრის მაქნისი არ არის, მაგრამ, ხედავს რა მის კონკურენტად ნაციონალების წარმონაქმნებს, ამბობს, ჯობია, ამათ მივცე ხმა, ვიდრე სისხლიანი რეჟიმის შემქმნელებსო.

ეს შუის გაკრეფა ჰაიჰარად არ არის გაკეთებული. ეს ბევრად ეშმაკური გეგმაა და ის გრძელდება. მოქმედი და ყოფილი ხელისუფლება მშვენივრად თანამშრომლობენ ერთმანეთთან.

***– მათი თანამშრომლობიდან რაიმე სიახლეები თუ გველოდება კიდევ?***

– მათგან უამრავი სიურპრიზი გველოდება. ისინი კიდევ ბევრ რამეს მოიფიქრებენ.

***– მოდით, ისევ იან კელის შესაძლო ცვლილებას დავუბრუნდეთ. ყველა ამბობს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ საარჩევნო სიაც კი მასთან შეათანხმა. ახალ ელჩთან შეძლებენ თანამშრომლობას?***

– რამეს მოიფიქრებენ. დასავლეთს ორმაგი სტანდარტები ახასიათებს და ის აქაც იჩენს ხოლმე თავს. ჩვენ ხშირად გვსმენია ელჩებისა და საერთაშორისო ორგანიზაციებისგან საუბრები საქართველოში არაფორმალური მმართველობის შესახებ. ერთი შეხედვით, ისინი გმობენ არაფორმალურ მმართველობას, მაგრამ, როცა საქმე საქმეზე მიდგება, სოლოლაკში მიდიან და ბიძინა ივანიშვილთან ათანხმებენ ყველაფერს.

ეს ხელისუფლება არაფრის მაქნისი არ არის და გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ ივანიშვილს შეუძლია. ამიტომ ხვდებიან ხოლმე მას ელჩები გადამწყვეტ მომენტში, მაგრამ მერე არაფორმალურ მმართველობაზე ტეხენ ერთ ამბავს. თუ არ მოგწონს ეს სტილი, მაშინ ნუღარც სოლოლაკში მიდიხარ.

ჩვენ გარშემო უამრავი რამე იცვლება, ამ დროს დაირაზმა 30-მდე ქართველი ქალი და ტრამპის წინააღმდეგ თბილისში რაღაც მარში მოაწყო. ჩვენი რა საქმეა, რა ხდება ამერიკაში, იმას მივხედოთ, რაც ჩვენთან ხდება. ამ საქართველოში აღარ უნდა დამთავრდეს თეიმურაზ ხევისთავიზმი? კაცს ცოლიანად ყველაფერი თავზე დაამხო ჯაყომ, ის კი ლოიდ ჯორჯს სწერდა წერილებს და ეუბნებოდა, ზანზიბარის ირიგაცია კარგად მოწყობილი არ არისო. ამოვიდეთ, რა, ამ პროვინციული ჭაობიდან!

***– ამ ჭაობიდან, ალბათ, კარგა ხანს ვერ ამოვალთ, მაგრამ, საინტერესოა, რა ურთიერთობა ექნება თბილისს მომავალში მოსკოვთან. ჩვენებური პოლიტიკოსები უკვე ხმამაღლა ამბობენ, რომ რუსეთს უნდა დავუახლოვდეთ, რადგან ტრამპიც ამას აპირებს. ამაზე რას იტყვით?***

– ეს არის ქართული პოლიტიკის პრიმიტივიზმის გამოვლინება. ტრამპი ამერიკელია. ის იმ საკითხებზე ითანამშრომლებს მოსკოვთან, რომლებიც ამერიკასა და მსოფლიოს აწყობს.

***– რაზე შეიძლება, ამერიკამ რუსეთთან ითანამშრომლოს?***

– ახლო აღმოსავლეთში შექმნილ ვითარებაზე. იქ რუსეთს სერიოზული გავლენა აქვს. ამ საკითხში ვაშინგტონს მოსკოვთან რომ ეთანამშრომლა, ბევრად ნაკლები სისხლი დაიღვრებოდა. ევროპასა და ამერიკას უკვე აღარ უნდათ, რომ მათი სამხედროები ერაყში ან ავღანეთში იღუპებოდნენ. ტრამპი პრაქტიკოსია და მოსკოვთან მხოლოდ მისთვის მნიშვნელოვან თემებზე ითანამშრომლებს.

ზედმეტი აჟიოტაჟი ატყდა გაზპრომთან დაკავშირებით. ყველამ იცის, რომ ამ კომპანიასთან ყოველწლიურად იდება ახალი ხელშეკრულება. ვიცოდით, რომ კახა კალაძე მოსალაპარაკებლად მიდიოდა. განგაში მოლაპარაკების დაწყებამდე უნდა ატეხილიყო და არა შეთანხმების გაფორმების შემდეგ.

***– შეთანხმების გაფორმებამდე რა იცოდნენ, რას მოეწერებოდა ხელი?***

– განგაში იმაზე უნდა აეტეხათ, რომ ამ საკითხის განხილვა სამთავრობო დონეზე არ მოხდა. ხელისუფლებას ამაზე ერთიანი პოზიცია არ ჰქონია. პრეზიდენტი ერთს ამბობდა, მინისტრები – მეორეს.

ხელისუფლება გვატყუებს, როცა ამბობს, რომ ამ შეთანხმებას გრიფი საიდუმლო ადევს. სახელმწიფოთა შორის დადებული ხელშეკრულებების დროს მხოლოდ რამდენიმე მუხლია გასაიდუმლოებული.

***– რა მუხლები?***

– ის მუხლები, რომლებიც სპეცსამსახურების თანამშრომლობას ეხება. ამ შეთანხმებაში ასეთი მუხლები არ არის და ის გასაიდუმლოებული არ უნდა იყოს.

***– აბა, რატომ ასაიდუმლოებს ხელისუფლება შეთანხმებას?***

– იმიტომ, რომ უნიათოები არიან და ეშინიათ, ხალხს სიმართლე უთხრან. თანამდებობის შესანარჩუნებლად მაზოხისტებად იქცნენ. დამნაშავე რეჟიმის წარმომადგენლები მათ თავზე პოლიტიკურად აფურთხებენ, ესენი კი ხმას არ იღებენ. ამიტომაც არის, რომ ეს ნაციონალები პოლიტიკაში ასე თავისუფლად დაშლიგინებენ.

# რატომ დააკავეს საქართველოს 23 მოქალაქე თელ-ავივის აეროპორტში



## საგარეო უწყება დეტალებს არკვევს

საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციით, საქართველოს 23 მოქალაქეს, რომლებიც ისრაელის აეროპორტში ორი დღის წინ დააკავეს, სამშობლოში 26 იანვარს დააბრუნებენ.

როგორც ნიუპოსტს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში განუცხადეს, საქართველოს მოქალაქეები თელ-ავივის აეროპორტის თანამშრომლებმა საეჭვოდ მიიჩნიეს და ისრაელის საზღვარზე არ შეუშვეს.

დაკავებულები ამჟამად ისრაელის სადეპორტო განყოფილებაში არიან მოთავსებულნი და მათ საქართველოს კონსული მოინახულებს.

– აღნიშნულის შესახებ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო ინფორმირებულია. კერძოდ, ისრაელში საქართველოს საელჩომ მიიღო ინფორმაცია ქვეყნის საზღვრის დაცვის სამსახურიდან, რომ გუშინ 23 ქართველს ისრაელში შესვლაზე უარი ეთქვა. მოქალაქეები მოთავსებულები არიან სადეპორტო დაწესებულებაში და 26 იანვარს მათი დეპორტაცია იგეგმება, – აღნიშნეს უწყებაში.

საგარეო საქმეთა სამინისტროში უარყოფენ გავრცელებულ ინფორმაციას, რომ საქართველოს მოქალაქეები საპყრობილეში გადაიყვანეს.

– ეს არ არის ციხე, როგორც ეს გავრცელდა. დიდ ჯგუფს უარი უთხრეს ქვეყანაში შესვლაზე. ამ ეტაპზე ჩვენმა კონსულმა წერილობითი თანხმობა მიიღო, რომ საქართველოს მოქალაქეები მოინახულოს და ყველა დეტალი გაარკვიოს, – უთხრეს ნიუპოსტს სამინისტროში.

ისრაელის აეროპორტში საქართველოს მოქალაქეების დაკავების შესახებ ინფორმაცია გუშინ გავრცელდა. დაკავების მოტივი დგინდება.

როგორც ერთ-ერთი დაკავებული, საქართველოს მოქალაქე ჯიმშერ გუნთაიშვილი იტყობინება, ის ისრაელში ტურისტის სტატუსით 23 იანვარს თბილისიდან გაფრინდა და ჩასვლისთანავე აეროპორტში დააკავეს. გუნთიაშვილი უკვე ორი დღეა, რაც ისრაელის საპატიმროში დაუდგენელი მიზეზით არის მოთავსებული.

# „თუ გია ცერცვაძეს რუსეთს გადასცემთ, უკრაინას დავტოვებთ“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

– ეს არ არის ჩვენი კომპეტენცია. ჩვენთვის პრინციპულია საერთაშორისო ვალდებულებების დაცვა. თუ არსებობს წინაპირობა სიცოცხლის საფრთხის ან წამების ალბათობისა, ამ შემთხვევაში ჩვენ ექსტრადირებაზე უარს ვამბობთ, – განაცხადა ენინმა.

ცერცვაძის რუსეთში ექსტრადირებას ეწინააღმდეგება საქართველოს უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე ლევან ბოძაშვილი.

მისი თქმით, უშიშროების საბჭო აქტიურად აკვირდება უკრაინაში დაკავებული ქართველი სამხედროს საქმის მიმდინარეობას, დაკვირვების ქვეშ ჰყავს ის სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც ამ საკითხის მოგვარებაში არიან ჩართული.

– ჩვენ ძალიან აქტიურად ვაკვირდებით ამ პროცესს, ვაკვირდებით იმას, თუ როგორ და რა ინტენსივობით ახდენენ ოპერირებას ამ საკითხზე საქართველოს კომპეტენტური ორგანოები, მათ შორის როგორც იუსტიციის, ასევე საგარეო საქმეთა სამინისტრო.

გამოვთქვამთ იმედს, რომ ყველაფერი განხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და ადამიანის უფლებების სრული დაცვით. პირადად ჩემი მოსაზრებაა, რომ უკრაინამ არ უნდა გადასცეს გია ცერცვაძე რუსეთს, – განაცხადა ლევან ბოძაშვილმა.

იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი კი ამბობს, რომ საქართველომ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ცერცვაძის ინტერესები უკრაინის ტერიტორიაზე დაცული იყოს.

ვალმოხდილი იუსტიციის მინისტრი საზოგადოებას მოუწოდებს, აჟიოტაჟისგან თავის შეიკავონ. მისი მტკიცებით, არცერთ პირად მონაცემზე, რომლებიც უწყების სისტემაში ინახება, ოკუპანტ ქვეყანას ხელი არ მიუწვდება.

– იუსტიციის სამინისტროს სისტემაში თითოეული ადამიანის, მათ შორის მოქალაქე ცერცვაძის პირადი მონაცემები მკაცრად არის დაცული. მასზე ხელი არ მიუწვდება არავის, გარდა კანონით განსაზღვრული შემთხვევისა. შესაბამისად, არცერთ პირად მონაცემზე, რომლებიც შეიძლება, ჩვენს სისტემაში ინახებოდეს, მით უმეტეს, ხელი არ მიუწვდება ოკუპანტ ქვეყანას, – განაცხადა წულუკიანმა.

არადა, რუსულმა მხარემ სასამართლოზე ცერცვაძის პირადი მონაცემები წარადგინა. ოპოზიცია ფიქრობს, რომ საქართველოს ხელისუფლება ოკუპანტებთან თანამშრომლობს.

* * *

ცერცვაძის მხარდასაჭერად გუშინ, 24 იანვარს, თბილისსა და კიევში საპროტესტო აქციები გაიმართა. თბილისში შინაგან საქმეთა სამინისტროსთან შეიკრიბნენ, კიევში კი აქცია საქართველოს საელჩოსთან გაიმართა.

კიევის აქციაზე მივიდნენ უკრაინაში მცხოვრები ქართველები, უკრაინელები, ცერცვაძის თანამებრძოლები. აქციის მონაწილეებმა პეტიცია გადასცეს საქართველოს საელჩოს, სადაც ისინი ითხოვენ გია ცერცვაძის უფლებების დაცვას, რათა არ მოხდეს მისი გადაცემა რუსეთისთვის.

ცერცვაძის ადვოკატმა ქსენია პროკონიოვამ კი მისი დაცვის ქვეშ მყოფის ციხიდან გამოგზავნილი წერილი გამოაქვეყნა.

– დიდი მადლობა ყველა იმ ადამიანს, რომლებიც მხარს მიჭერენ. იმედი მაქვს, უკრაინა არ გადასცემს ჩემს თავს ჩვენს საერთო მტერს და მე მექნება საშუალება, ვებრძოლო ჩვენს მტერს, – წერს ცერცვაძე.

# საქართველოს უმაღლეს ხელმძღვანელობას: აი, როგორ დავამარცხებთ სიღარიბეს და უმუშევრობას სოფლად უახლოეს ხანში

**პატივს მიაგებს ერი მთავრობას, ქვეყნის უმაღლეს ხელმძღვანელობას, თუ დაამარცხებს უმუშევრობას და განადიდებს შთამომავლობას!**

**ღრმად პატივცემულო ბატონებო!**

სახელმწიფოს პატრონაჟით მცირე ფართობის მფლობელი მევენახეებისთვის შეიქმნას „მევენახის მარანი" და მევენახეებს საერთაშორისო ბაზრებზე ღვინის რეალიზაციით გადაეხადოთ ყურძნის თანხა; ვფიქრობ, დამეთანხმებით, რომ ვაზის სამშობლოს მეზვრეები ვერ დგანან საკადრის სიმაღლეზე არა იმიტომ, რომ უშრომლები არიან, არამედ გაჭირვების გამო ჩალის ფასად აბარებენ ყურძენს. მათ კი, რომლებიც სახლში ამუშავებენ ჭირნახულს და ღვინოებს ყიდიან, წამყვანი კომპანიები ზღუდავენ, რადგან პრესტიჟულ რესტორნებში და სუპერმარკეტებში კომპანიები აფორმებენ ექსკლუზივებს, და ამიტომაც გლეხები ვერ აბარებენ ღვინოებს, მით უმეტეს, გაუჭირდებათ ქვეყნის გარეთ მისი გატანა.

ყურძნის საკადრისი (მაღალი) ფასის დასამკვიდრებლად ჩინებული იქნება მევენახეობის რეგიონებში და დიდ სოფლებში „მევენახის მარნის" დაარსება გლეხთა მცირე რაოდენობის ყურძნის თავმოყრის, გადამუშავებისა და რეალიზაციისთვის. მარნები კი, ჩემი აზრით, უნდა აშენდეს სახელმწიფოსგან გამოყოფილი სუბსიდიით. მაგალითად, შარშან სუბსიდიით გაიცა 80 მილიონი და ეს თანხა ერთნაირად მიიღეს გალაღებულმა მევენახეებმაც და გაჭირვებულებმაც, მაშინ როდესაც, მთავრობის უპირველესი ამოცანა სიღარიბის დაძლევაა.

თუ მთავრობა წელსაც აპირებს სუბსიდირებას, ამ თანხებით მევენახეობის რეგიონებში და დიდ სოფლებში ავაშენოთ 1000-1500 ტონიანი 30 მარანი, რითაც სახელმწიფო მომავალში მთლიანად განთავისუფლდება სუბსიდირებისაგან, 20 ათასამდე მცირე ფართობის მფლობელ მევენახის ოჯახში კი სამარადისოდ დავამარცხებთ სიღარიბეს. რადგან თუ გასულ წელს საფერავში მიიღეს 1 ლარი, რქაწითელში კი 70 თეთრი, ჯამში 30 მილიონი ლარი, მის ნაცვლად კილოგრამ ყურძენში მიიღებენ ათჯერ მეტს, რადგანაც 300 მილიონი მათ ოჯახებში განაწილდება იმ მარტივი არითმეტიკით, რომ მცირე ფართობის მფლობელი მევენახეების 40 ათასი ტონა ყურძენი არის 25 მილიონი ბოთლი ღვინო. თუ ერთ ბოთლ ღვინოს ხარჯების გარეშე ყველაზე მცირე 12 ლარად ვიანგარიშებთ. მით უმეტეს, უნიკალურ ჯიშებზე – უფრო მეტად, და ეს კოლოსალური თანხა არ იქნება ჩვენი ქვეყნის ბიუჯეტისა, იგი ყოველწლიურად უხვად შემოვა უცხო ქვეყნებიდან.

სახელმწიფოს პატრონაჟით გლეხთა მარნების (კოოპერატივების) მაღალ დონეზე განვითარება იყოს იმდენად ორიენტირებული, რომ სოციალურად დაუცველებისთვისაც გავხადოთ სტიმულის მიმცემი მცირე ფართობის ვენახების გაშენებისა. უახლოეს ხანში სოციალურად დაუცველებს გალაღებულებს, სახელმწიფოს კი ყოველწლიურად 200 მილიონით სოციალურად დაუცველთა დახმარებებისაგან განთავისუფლებულს ვიხილავთ.

რაკი სწრაფად განვითარების საყრდენად მევენახეობა ვაქციე, შეგახსენებთ, რომ ვიწრორიგიან ვენახებში მევენახის შრომა უმძიმესია და მონურიც, რადგან ვაზის შეწამვლა ხდება ზურგის აპარატით, მოხვნა კი ცხენით. მართალია, ფართო რიგებში ეს სამუშაოები მექანიზაციით სრულდება, მაგრამ ცდება მიწების დიდი ნაწილი. პრობლემები კი ასე მაქვს გადაწყვეტილი – ვენახების მაღალ-დაბალი ფორმირებების გაშენებით (საავტორო უფლების №1664182), იმ მიზნით, რომ ტრაქტორმა დაბალ რიგს გადააბიჯოს (იხ. სურათი) და ერთი გავლით ორი რიგი დაამუშაოს, 50%-ით შემცირდეს მექანიზაციის ხარჯები და მევენახეების საკეთილდღეოდ გამოთავისუფლდეს 100 ათასამდე ჰექტარი მიწა. ეს გამოგონება საჩუქრად გადავეცი საქართველოს (პატენტი № 245) იმ მიზნით, რომ ჩვენი სამშობლო იყოს ამ ინოვაციის პიონერი და პატენტმფლობელიც.

ვენახების ახლებურად გაშენების პოპულარიზაციისათვის კი საჭიროა 1-2 ტრაქტორი გადავაკეთოთ მაღალშასიან (ახალი თაობის) ტრაქტორად, რასაც პირადად ვიტვირთავ, თუკი იქნება სტარტაპ პროექტის მხარდაჭერა, და გეზიც მომავალში



ვენახების ახლებურად გაშენებისკენ ავიღოთ.

რადგან სტაგნაციიდან საშვილიშვილო საქმეზე სამსჯელოდ გადავდივარ, კიდევ უფრო გავთამამდები და დავძენ: თითო-ოროლა არაფრისმაქნისი სამინისტროს გაუქმების ხარჯზე (რომლის მოვალეობას დეპარტამენტებიც გაართმევენ თავს) და საქართველოს მთელ ტერიტორიაზე გადახდილი ჯარიმების აკუმულაციით შევქმნათ აღმაშენებლის ბანკი ცხოვრებას ჩამორჩენილი გლეხკაცებისთვის სოფლის მეურნეობის, ხელმარჯვე ოსტატებისთვის კი მეწარმეობის განვითარებისათვის, სადაც უნარის და ინიციატივის გათვალისწინებით, ყოველგვარი ბარიერების გარეშე მიიღებენ სესხებს 10-დან 50 ათას ლარამდე. იმედია, ამ დიდ ეროვნულ საქმეში, როგორც ყოველთვის, თავის სიტყვას იტყვიან ჩვენი საამაყო მეცენატები და საქართველოზე გულანთებული ბიზნესმენები.

იმ სოფლებში, სადაც ყველაზე მძიმე მდგომარეობაა (თუნდაც ინვალიდებისთვის და მრავალშვილიანი ოჯახებისთვის), საუკეთესოდ მიმაჩნია დავაწესოთ სესხის ნატურით გადახდა ისეთი პროდუქციის წარმოებისთვის, რომელსაც სახელმწიფოს ხარჯზე მყოფი სტრუქტურები მოიხმარენ. მაგალითად, ჯარი საბიუჯეტო სახსრებით ყიდულობს ხორცს, კარტოფილს და ა. შ. მეწარმეს მისცეს სესხი 10 ათასი ლარი. ეს სესხი გაიქვითოს მის მიერ ჯარისთვის ჩაბარებულ პროდუქტის თანხით, ნაწილი ერთ წელს, ნაწილი მეორე წელს და ა. შ.

გლეხების უფრო მეტად ხელშეწყობის და წახალისების მიზნით კარგი იქნება, დავაწესოთ აგრარიკოსის და მეწარმის დღე. ამ დღეს ქვეყნის უმაღლესმა ხელმძღვანელობამ მიიღოს და დააჯილდოვოს წარმატებული გლეხობა და მეწარმეები ორდენებით და ფულადი პრემიებით (უმაღლესი ხელმძღვანელობის პრემიების ხარჯზე). ამაგდარი აგრარიკოსები იქვე მოახსენებენ მოუგვარებელ საკითხებს, რადგან ბაღ-ვენახებიდან და ველ-მინდვრებიდან გამოგზავნილ პრობლემებზე უგუნური ჩინოვნიკები პასუხსაც არ იძლევიან. თქვენს ამ ინიციატივას კვერს დაუკრავენ მინისტრები, მინისტრებს კი მათი მოადგილეები, რადგან ადამიანთა აბსოლუტური უმრავლესობა მლიქვნელია.

ყურადღებას გავამახვილებ იმაზეც, რომ შევქმენი პრეპარატი, რომელიც არსებულ პრეპარატებზე დანამატით ამცირებს ვაზის წამლობის ჯერადობას, რასაც 18 წელი მოვანდომე, და შარშან, ხშირი წვიმების მიუხედავად, 4-ჯერ შეწამლულ 1,5 ჰა ვენახში მიღებულ 20 ტონა ყურძენში მარცვალიც არ გამფუჭებია. წელს ბევრის ვენახში გაისინჯება და მსურს თქვენთვის სასურველმა მევენახეებმაც გამოსცადონ.

ასევე უპრიანი იქნება დედაქალაქის გულში, გმირთა მოედანზე დაიდგას აღმაშენებლის 36-წლიანი მეფობის მოღვაწეობის აღსანიშნავად 36 კიბის საფეხურიანი მემორიალი ოქროს გვირგვინით (ოქროს გვირგვინის დადგმის ხარჯებს პირწმინდად გაიღებს ქვლივიძეების საგვარეულო), დაწყებული პირველი საფეხურით 1089 წლიდან და დამთავრებული 1125 წლამდე გარდახდილი მოვლენების მინიშნებით. სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ ამ იდეას პრესაში გაჟღერებისთანავე მოჰყვა არა მარტო გამოხმაურებები, „თვალსაჩინო მაგალითი მომავალი თაობებისთვის" (5-10/XII-2014 წ. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა"), არამედ თანხების გაღების სურვილიც კი, რამაც მემორიალის დადგმის ღირებულებასაც გადააჭარბა. საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში წარმოვადგენ მაკეტს ფრიად მნიშვნელოვანი ინოვაციური იდეით, რომელიც დაჯაბნის დღემდე მსოფლიოში შექმნილ მემორიალებს, გარშემორტყმულს იმავე გმირებით (რადგან მათი სახელები დღეს გმირთა მოედანზე ვერ იკითხება), დღეს არსებულზე უკეთესი მინიშნებითა და გაბრწყინებით.

მემორიალი დიდ შემოსავალს მოუტანს ქვეყანას, რადგანაც მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში მოწყობილ მემორიალებს, პატრიოტული და ემოციური დანიშნულების გარდა, მილიონობით ტურისტის ხილვის დატვირთვაც აქვს. აქედან მიღებული თანხები კი მთლიანად მივმართოთ მზრუნველობას მოკლებულ ბავშვთა სახლებს, მათ კეთილდღეობას და მორალურ გამხნევებას.

ახალ-ახალი იდეებით და ინიციატივებით ჩვენი ერთი მტკაველი ქვეყანა გადავაქციოთ მძლავრ, განვითარებულ სახელმწიფოდ, არა ჰიპოთეზური წარმოდგენებით, არამედ ეროვნული ნიშან-თვისებებით და ინოვაციებით, რომლებიც ჭარბად არსებობს ჩვენს ქვეყანაში.

ვინც ამ წერილს გულახდილად გაეცნობა, დამიდასტურებს, რომ არის სიღარიბის და უმუშევრობის დამარცხების რეალური გზა, მაგრამ ბევრი მხარს არ დამიჭერს, პირდაპირ ვიტყვი: შურით, მაგალითად, ჩინოვნიკი, რომლის სიტყვა მხოლოდ თანამდებობითაა ფასეული და თავად არაფერი გაუკეთებია, დაუჭერს მხარს მევენახის მარნის შექმნას? რა თქმა უნდა, არა! არც გამოგონებას! და არც აღმაშენებლის მემორიალის დადგმის იდეას! მით უმეტეს, როცა სახელმწიფოსი ერთი თეთრიც არ იხარჯება; სახელმწიფო მოღვაწეები კი სკამისა და პრემიების დაკარგვის შიშით, მაგრამ დარწმუნებული ვარ, თქვენი პოსტები დაჯაბნის მათ იწილო-ბიწილობანას, და ეროვნული სულისკვეთებით სწრაფად დავიწყებთ განვითარებისთვის ურთულესი განტოლების ამოხსნას იმ ხერხით, რომ თავმოსაწონი გახდეს ხვალინდელი დღისა, რადგან „ავი ენები" უკვე ამბობენ: სოფელს ემუქრება არა მარტო სიღატაკე, არამედ ჩინელებითა და არაბებით გავსება, და ვისაც ეს სიტყვები არ ააკანკალებს და ხმას არ ამოიღებს, პასუხისმგებლობაც მათ დაეკისრებათ შთამომავლობის წინაშე.

**გამოგონება კაცის ნიჭია,**
**უფლის წყალობით მოქარგულია,**
**ხან მიგნებაა, ხანაც ფუჭია,**
**ორთავე ჩვენი სიხარულია.**

**ახალ იდეას დაცინვაც ახლავს,**
**ხალასი ნიჭი ამასაც იტანს,**
**და ავტორს მხოლოდ დროებით ლახავს,**
**თუ შემოქმედი ლელოს გაიტანს.**

**მე მირჩევნია რეგრესი ვკაფო,**
**ასე მივიდე დაბერებაში,**
**ვიდრე ვიცხოვრო, რომ მხოლოდ „ვქაფო"**
**და არ აღმოვჩნდე ელვარებაში.**

**მე ჩემი ქვეყნის წინსვლა მახარებს,**
**და ამიტომაც გულით მინდება**
**მედგრად დავჭექო და ვუხმო ზარებს,**
**რაც არასოდეს არ მომწყინდება.**

**როგორც წინაპრის გამხსენებელი,**
**ისე თეთნულდი დაუდნობელი,**
**და საქართველოს დამმშვენებელი**
**ერი, სიცოცხლით დაუჭკნობელი.**

**ამ ლექსით პროგრესს დაველოდები,**
**რომ მოვაბნიოთ ია-ვარდები,**
**მაგრამ თუ წინ დამხვდება ლოდები,**
**გავწევ და თქვენთან შემოვვარდები**

**მძიმე უღელის დამხობისათვის,**
**მეტი სიახლის მიგნებისათვის,**
**ვაზის სამშობლოს დიდებისათვის**
**საღი აზრებით ქმედებისათვის.**

**სტროფებს სჭირდება წინ გაქანება,**
**კრედოს კი ცხადში ახმოვანება,**
**არამც და არამც დაგვიანება,**
**თუ მართლა გვინდა აღფრთოვანება**

**არა ვისიმე ქველისათვისა,**
**ან ჩემი შვილის გულისათვისა,**
**და არც ურჩ თამაზ ქვლივიძისთვისა,**
**სათაყვანებლად ქვეყნისათვისა.**

**არსი თუ არსად ჩაიძირება,**
**და რითმის ჟღერით დაიწურება,**
**ქართულ მამულის აწ ნეტარება**
**დიახაც, სწრაფად დაიწერება.**

პატივისცემით
საქართველოს დამსახურებული
გამომგონებელი
თამაზ ქვლივიძე
599 10 43 18



# რას მოუტანს საქართველოს მსოფლიოში დამკვიდრებული ახალი რეალობა

## რა საფრთხის წინაშე დგანან ამერიკის მოკავშირეები



მარიამ მჭედლიშვილი

აშშ-ში გამართული საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ითქვა, რომ მსოფლიოში ახალი წესრიგი მყარდება. ბევრი ექსპერტი ამ შეხედულებას არ იზიარებდა, ვინაიდან დარწმუნებული იყო, რომ დონალდ ტრამპის განსხვავებული შეხედულებები წინასაარჩევნო-პოპულისტური გახლდათ და ამერიკის პოლიტიკაში და საერთოდ მსოფლიოში ძირეული ცვლილებები არ მოხდებოდა.

ასეთ განცხადებებს აკეთებდნენ ქართველი პოლიტიკოსებიც.

დღეს წამყვანი სახელმწიფოების ლიდერები და დასავლური მედია აღიარებენ, რომ სამყარო შეიცვალა.

– გერმანიის გაერთიანებისა და ცივი ომის დამთავრების შემდეგ მსოფლიო ახალ ეპოქაში შევიდა. დღეს მას ახალი ერა შეცვლის, – აცხადებს გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი.

მისი აზრით, ისეთი პრობლემის გადაწყვეტას, როგორიცაა გლობალიზაცია, დასჭირდება ღიაობა და არა – პოლარიზაცია.

ახალი ათასწლეულის სიახლეებზე საუბრობს ლე მონდი.

გაზეთის მიმომხილველი აღნიშნავს, რომ ამ ახალ ეპოქაში აშშ დაიცავს საკუთარ საზღვრებს, საკუთარ ქარხნებსა და სამუშაო ადგილებს. ამერიკისთვის დანარჩენი სამყარო მეორეხარისხოვანი ხდება. ასეთებად იქცევიან ამერიკის ტრადიციული მოკავშირეები, რომლებიც ბოროტად იყენებდნენ აშშ-ის დიდსულოვნებას.

ლე მონდი მიიჩნევს, რომ ამ სიტუაციაში შეიძლება ხაფანგში აღმოჩნდეს რუსეთი, რომლის მიმართ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს ვაშინგტონში და დონალდ ტრამპის ადმინისტრაციაშიც კი. რუსეთი გაურკვევლობაშია, მიუხედავად იმისა, რომ პუტინმა შეძლო რუსეთის დაბრუნება საერთაშორისო თამაშის ცენტრში. ამის გამოვლინება იყო სირიაში ბაშარ ასადის რეჟიმის გადარჩენა. პუტინმა, ავტორის თქმით, დასავლეთის ქვეყნების ცხვირწინ გადაარჩინა ასადი და ამ პროცესში ჩართო თურქეთი და ირანი.

ლე მონდი ევროპის წინაშე მდგარ ახალ რეალიებზეც ამახვილებს ყურადღებას – ევროკავშირს უხდება გამკლავება არა მარტო ბრექსიტთან. ევროკავშირი იქცა რუსეთის მხრიდან დესტაბილიზაციის მცდელობის, ასევე ტრამპის მხრიდან სიტყვიერი თავდასხმების სამიზნედ.

ბევრი რამე მას შემდეგ გაირკვევა, რაც ჩატარდება არჩევნები გერმანიაში, საფრანგეთსა და ნიდერლანდში. ამ არჩევნების შედეგები ევროპას ან ქაოსამდე მიიყვანს, ან – გაძლიერებამდე.

რუსეთსა და ევროკავშირს შორის მთავარი პრობლემა კი უკრაინის საკითხი და რუსეთისთვის დაწესებული სანქციებია.

რუსეთისთვის სანქციების გაგრძელება, მოხსნა და ახალი სანქციების დაწესება ისევ საკამათო საკითხებია მსოფლიოში.

ჩეხი ანალიტიკოსი ტერეზა სპენცეროვა აცხადებს, რომ აშშ-ის ახალი მთავრობა დაინტერესებული იქნება რუსეთისთვის სანქციების მოხსნით. მისი თქმით, აშშ-ის ახალმა სახელმწიფო მდივანმა რექს ტილერსონმა თავის სანავთობო კომპანიაში დიდი ზარალი განიცადა ანტირუსული სანქციების გამო.

– ტრამპთან ერთად მოდიან ის კონცერნები და ოლიგარქები, რომლებისთვისაც ობამა-კლინტონის ისტებლიშმენტის კონფრონტაციული და აგრესიული პოლიტიკა არც ისე მომგებიანია. მათ დაკარგულის ანაზღაურება მოუნდებათ, – ამბობს ჩეხი ექსპერტი.

იგი აღნიშნავს, რომ ტრამპის კრიტიკულ განცხადებებს ნატოს თაობაზე დადებითი გამოხმაურებებიც მოჰყვა. მაგალითად, ნატოს გენერალი დენი მერსიე ეთანხმება ტრამპს იმაში, რომ ნატო მოძველდა, რომ ის მეტისმეტად დიდ დროს უთმობს სხვადასხვა ქვეყანაში, მაგალითად, ავღანეთში ექსპანსიას.

ნატო და ევროკავშირი რომ პრობლემების წინაშე დგანან, ამას დასავლეთში აღარ მალავენ.

ახალი მსოფლიოს წინაშე მდგარ ერთ-ერთ მთავარ პრობლემად სახელდება თანასწორობა და დასაქმება.

რას მოუტანს საქართველოს მსოფლიოში შექმნილი ახალი რეალობა, ძნელი სათქმელია.

საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციების უმრავლესობა და პოლიტიკოსები ისევ ძველი თემებით არიან დაკავებული. სიახლეებზე, სოციალურ თანასწორობაზე არავინ საუბრობს, ფენებს შორის უთანასწორობა კი სულ უფრო იზრდება.

2017, 25 იანვარი, №20

# აფხაზეთს ელექტროენერგია ენგურჰესიდან უფასოდ მიაქვს

## „ეს არის ურთიერთობის გაუგონარი ფორმა“

**ენგურჰესი საქართველოს ენერგეტიკული სისტემის უმნიშვნელოვანესი რგოლია: მისი წილი საქართველოს მთელ ენერგობალანსში 40 პროცენტია, დადგმული სიმძლავრე 1.300 მგვტ, ხოლო წლიური გამომუშავება 3 მილიარდ კილოვატ/საათს აღემატება.**



აქედან გამომუშავებული ელექტროენერგიის 40% უფასოდ მიაქვს აფხაზეთს, 60% კი ჩვენს ენერგოსისტემაში რჩება.

აფხაზური მხარეც არ უარყოფს, რომ დე ფაქტო რესპუბლიკაში ელექტროენერგიის მოხმარება მაღალია – ისინი დღეში 8 მლნ კვტ/სთ ელექტროენერგიას იყენებენ.

2007 წელთან შედარებით, აფხაზეთში მოხმარება 55%-ით არის გაზრდილი. სწორედ ამიტომ, აფხაზური მხარე შეშფოთებით აღნიშნავს, რომ 15 თებერვლიდან სარემონტო სამუშაოების გამო, ენგურჰესი გაჩერდება და აფხაზეთს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდება.

ამას წყლის დონის შემცირებაც ემატება. აფხაზურ მედიასთან „ენგურჰესის“ ტექნიკურმა დირექტორმა გია ხუბუამ განაცხადა, რომ ჯვრის წყალსაცავში წყლის დონე 453 მეტრია, არსებობს კიდევ 35 მეტრის გამომუშავების შესაძლებლობა, რის შემდეგაც ელექტროენერგიის მიწოდება შეწყდება.

* * *

ამ საკითხზე ბიზნესპრესნიუსი საქართველოს ენერგეტიკის აკადემიის პრეზიდენტ რეზო არველაძეს ესაუბრა, რომელიც მიიჩნევს, რომ აფხაზეთს ელექტროენერგია რუსეთმა უნდა მიაწოდოს.

– აფხაზურმა მხარემ მოლაპარაკება რუსეთთან უნდა აწარმოოს, რადგან უკვე წლებია, რაც ისინი თანხას არ იხდიან და გამოდის, რომ ჩვენ მათ ელექტროენერგიას უფასოდ ვაწვდით. შარშან, გაზაფხულზეც მივაწოდეთ, როცა ენგურჰესის წყალსაცავი დაცლილი იყო: საქართველომ რუსეთიდან იყიდა და ასე მიაწოდა ელექტროენერგია აფხაზურ მხარეს, მაგრამ თანხა ისევ არ გადაგვიხადეს.

ზამთარში ენგურჰესის მიერ გამომუშავებული ენერგია მთლიანად აფხაზეთს მიაქვს, მაგრამ ფულს მაინც არ იხდიან. ამ სიტუაციიდან გამოსავალი როგორმე უნდა მოძებნონ, – აღნიშნა რეზო არველაძემ.

მისივე თქმით, ენგურჰესი უნდა გაჩერდეს, რადგან მისი რეაბილიტაცია აუცილებელია.

– სპეციალისტებმა უნდა ნახონ, რა მდგომარეობაა იქ, რა სამუშაოებია ჩასატარებელი, რომ 2018 წელს ხანგრძლივად არ გაჩერდეს. საქართველოს მთავრობამ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს თხოვნით მიმართა, რომ გამოყოს თანხა ამ ჰესის სარეაბილიტაციო სამუშაოებისთვის.

ახლა ალბათ 3 კვირით გაჩერდება, 2018 წელს კი – 3 თვით, საჭიროების შემთხვევაში უფრო დიდი ხნითაც. ამ 3 კვირის განმავლობაში აფხაზეთმა უნდა მიიღოს ზომები, რუსეთს მოელაპარაკოს და ელექტროენერგია რუსებისგან მიიღოს, – განაცხადა ბ-ნმა არველაძემ.

მისი თქმით, საქმეს ართულებს ის, რომ ელექტროსადგური აფხაზეთის მხარესაა – გალის რაიონის სოფელ საბერიოში და აფხაზები ამით კარგად სარგებლობენ. თანაც, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობას შორის 1998 წელს შედგა სიტყვიერი მოლაპარაკება, რომ ელექტროენერგიის 40% უნდა წაეღო აფხაზეთს და 60% – საქართველოს. აქამდე ამ 40%-ს წლიურ ჭრილში ასრულებდნენ, ბოლო 2 წელიწადში კი 40 პროცენტი უკვე 50% გახდა.

– არ ვიცი, მაშინ ქართული მხარე ამ პირობას რატომ დათანხმდა, რადგან აფხაზეთს ენგურჰესის მიერ გამომუშავებული ენერგიის მხოლოდ 20% ეკუთვნის. მათ კი ზამთარში 100% მიაქვთ. ზაფხულში არ სჭირდებათ და მხოლოდ 15-20%-ს ხარჯავენ. არ ვიცი, ჩვენი მთავრობა რას გადაწყვეტს, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ საქართველომ აფხაზეთს ელექტროენერგია არ უნდა მიაწოდოს. თორემ გამოდის, რომ ჩვენ უნდა ვიყიდოთ და უფასოდ უნდა მივაწოდოთ. დე ფაქტო რესპუბლიკაში უნდა შეეჩვიონ იმ აზრს, რომ ელექტროენერგია ფული ღირს და უნდა გადაიხადონ. რუსეთი მათ ელექტროენერგიას ისე არ მისცემს, ფული თუ არ გადაიხადეს, – აღნიშნა რეზო არველაძემ.

* * *

ენერგეტიკის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ანზორ ჭითანავა ფიქრობს, რომ ამ საკითხში კომპრომისი აუცილებელია.

– ის, რომ აფხაზეთი ელექტროენერგიის საფასურს არ იხდის, არის ურთიერთობის გაუგონარი ფორმა, როდესაც მომხმარებელი გადახდას თავს არიდებს, ხოლო მწარმოებელი პატიოსნად აწვდის მას თავის პროდუქციას. აქ მთავარი პოლიტიკური სიტუაციაა, ამიტომ, როგორმე უნდა მივაღწიოთ, რომ აფხაზებმა თანხა გადაიხადონ და ეს თანხა ისევ ენგურჰესის განვითარებას მოვახმაროთ. რომ არ იხდიან, ეს არის მიზეზი მრავალი გადაუწყვეტელი საკითხისა, – განაცხადა ანზორ ჭითანავამ.

ის ფიქრობს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე აუცილებლად უნდა მოხდეს გამრიცხველიანება. ეს ტენდერით არჩეულმა კომპანიამ უნდა გააკეთოს და პასუხი აგოს იქ მცხოვრები მოსახლეობიდან შემოსავლების ამოღებაზე. ეს უნდა მოხდეს ორი მხარის მოლაპარაკების საფუძველზე.

– იმედია, ენგურჰესთან დაკავშირებული ეს დილემა უახლოეს დღეებში გადაწყდება. რაც შეეხება პრეტენზიას, ელექტროენერგია უფასოდ გვეკუთვნისო, რასაც აფხაზური მხარე ხშირად უსვამს ხაზს, ეს ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულია. ენგური თავისი რესურსებით არა მარტო აფხაზურ მხარეს ემსახურება, არამედ მთელ საქართველოს, – აღნიშნა ანზორ ჭითანავამ.

ენერგეტიკის აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის თქმით, ის, რომ ენგურჰესზე წარმოებული ელექტროენერგია ზამთარში მთლიანად აფხაზეთში მიდის, დაუშვებელია.

– ახლა ჩვენი ამოცანაა, ენგურჰესი გავაჩეროთ, შევისწავლოთ და მოვემზადოთ მომავალ წელს ხანგრძლივი გაჩერებისთვის. იქ უსაფრთხოების საკითხები ბოლომდე უნდა იქნას მოწესრიგებული. ენგურჰესზე სარეაბილიტაციო სამუშაოები, წესით, 5 წელიწადში ერთხელ მაინც უნდა ტარდებოდეს, მაგრამ უკვე 10 წელია, ეს არ გაგვიკეთებია.

რეაბილიტაცია ორივე მხარის ინტერესებში შედის და იმედს ვიტოვებ, რომ ამით აფხაზური მხარეც დაინტერესდება. ენგურჰესის გაჩერება და ამ საკითხების კომპლექსური განხილვა მალე უნდა მოხერხდეს, რომ ყველანაირი სეპარატისტული თუ სუბიექტური მიდგომა თავიდან ავიცილოთ, – განაცხადა ანზორ ჭითანავამ.

ის მიიჩნევს, რომ საქართველო კიდევ ერთხელ უნდა წავიდეს კომპრომისზე: ელექტროენერგია მეზობელი სისტემებიდან – რუსეთიდან, აზერბაიჯანიდან ან სომხეთიდან უნდა შევისყიდოთ და აფხაზეთს მივაწოდოთ.

– მეც გეთანხმებით, რომ აფხაზეთის მხარემ ელექტროენერგიის საფასური უნდა გადაიხადოს, მაგრამ ეს ამჟამად ილუზიაა: საქმე ის არის, რომ არანაირი ნორმალური სქემა, რომ იქ მოსახლეობიდან თანხა აიკრიფოს და ენგურჰესის ყულაბაში შემოვიდეს, არ არსებობს. ამიტომ იძულებული ვართ, ვიყიდოთ და მივცეთ მათ ელექტროენერგია.

ეს ძალიან რთული საკითხია, რომელსაც ემოციური მიდგომა არ მოუხდება. ეს კრიზისი ღირსეულად უნდა გადავიტანოთ, მაგრამ თანხის ამოღების სქემა აფხაზეთში აუცილებლად უნდა ამოქმედდეს. ვინც არ გადაიხდის, იმას ელექტროენერგია არ მიეწოდება – ეს პრინციპი ნებისმიერმა მომხმარებელმა უნდა გაითავისოს, აფხაზეთში ცხოვრობს ის, თუ სხვა რეგიონში, – აღნიშნა ანზორ ჭითანავამ ბიზნესპრესნიუსთან საუბრისას.

**ხათუნა ჩიგოგიძე, ბიპიენი**

# ქართულმა ნავთობკომპანიებმა ფასები იმაზე ადრე გაზარდეს, ვიდრე აქციზი გაიზრდებოდა



ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია აფბა ქართული საწვავის ბაზარზე არსებულ მდგომარეობას აფასებს.

როგორც აფბას ანალიტიკოსი პაატა ბაირახტარი აცხადებს, კომპანიებმა ბოროტად ისარგებლეს აქციზის გადასახადის ზრდით და საწვავზე ფასები იმაზე ადრე გაზარდეს, ვიდრე აქციზის გადასახადი გაიზრდებოდა.

– ბოლო 2 თვის მანძილზე, საწვავის ქართულ ბაზარზე ფასების კორექტირება, ზრდის კუთხით, 5 ჯერ მოხდა და საერთო ჯამში, საწვავის ფასი 18 %–ზე მეტით გაიზარდა. ქართულ ბაზარზე ფასების ზრდის რამდენიმე ფუნდამენტური მიზეზი დასახელდა, ისეთები, როგორებიც იყო მსოფლიო ბირჟებზე ნავთობის ფასის მატება, ეროვნული ვალუტის დევალვაცია და ნავთობპროდუქტებზე აქციზის გადასახადის გაზრდა.

2016 წლის დეკემბერში მსოფლიო ბაზარზე მცირედით მართლაც გაიზარდა ნავთობის ფასი და მან ბარელზე 58 დოლარს მიაღწია. ამ პერიოდისთვის ქართულმა ნავთობიმპორტიორმა კომპანიებმა წინასწარ საშუალოდ 5 თეთრით გაზარდეს 1 ლიტრი ბენზინის ფასი. ამის შემდეგ ეროვნულმა ვალუტამ დევალვაცია განიცადა და კომპანიებმა კიდევ 5 თეთრით გაზარდეს საწვავის ღირებულება, – განაცხადა პაატა ბაირახტარმა.

ნავთობპროდუქტების იმპორტიორმა კომპანიებმა 2016 წლის დეკემბრის მიწურულს საწვავის ფასი კიდევ ერთხელ გაზარდეს 5 თეთრით.

აფბა მიიჩნევს, რომ კომპანიებმა ამ ქმედებით, აქციზის გადასახადის მოსალოდნელი ზრდა გამოიყენეს მოგების კიდევ უფრო გასაზრდელად და აქციზის გადასახადის მარჟა წინასწარ ჩადეს საწვავის ფასში.

– დღეს 1 ლიტრი პრემიუმის ტიპის საწვავის ღირებულება 2.19 ლარს აღწევს, ამის მთავარ განმაპირობებელ ფაქტორად კი აქციზის გადასახადის გაზრდა სახელდება. მაგრამ თუ გადავხედავთ ძირითად განმაპირობებელ ფაქტორებს, ნათლად ჩანს, რომ კომპანიებმა იმაზე გაცილებით მეტად გაზარდეს საწვავის ფასი, ვიდრე ამას აქციზის გადასახადი და სხვა ფუნდამენტური ფაქტორები განაპირობებს.

2017 წლის 1 იანვრიდან აქციზის ღირებულება 1 ლიტრ საწვავზე გაიზარდა 15% -ით, 2016 წლის დეკემბრიდან დღემდე კი საწვავის ფასი ქვეყანაში გაიზარდა 18.26% -ით. ამას ემატება ბოლო 1 თვეში თითქმის 10%-მდე შემცირებული ნავთობის ფასი მსოფლიო ბაზრებზე და ბოლო 2 კვირაში თითქმის 8%-ით გამყარებული ლარი, – აღნიშნა ბაირახტარმა.

მისივე თქმით, დღეს ნავთობკომპანიები უსამართლოდ გაბერილი ტარიფებით ოპერირებენ, რასაც სახელმწიფო ვერაფერს უპირისპირებს და ზიანდება ისედაც რთულ ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩავარდნილი მომხმარებელი.

მსგავს სიტუაციაში მნიშვნელოვანია, რომ ნავთობკომპანიებმა იგრძნონ ის სოციალური პასუხისმგებლობა, რაც მათ საზოგადოების წინაშე გააჩნიათ და არ ისარგებლონ ბოროტად ყველა სიტუაციაში, როდესაც გარკვეული ობიექტური გარემოებების გამო, ცვლილებების განხორციელება ხდება საჭირო ცალკეულ გადასახადებთან მიმართებაში.

**კომერსანტი**

# რომან კაკულია სესხების გალარებაზე: „პასუხს ყველაფერზე მთავრობა აგებს“



პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის თავმჯდომარე რომან კაკულია არ გამორიცხავს, რომ ლარიზაციის გეგმას ნეგატიური ეფექტები მოჰყვეს.

ამის შესახებ ბიზნესკონტრაქტს კაკულიამ ლარიზაციის გეგმის შეფასებისას განუცხადა, რომლის ერთ-ერთ ნაწილს სესხების გალარების ერთჯერადი, სოციალური პროგრამაც წარმოადგენს.

– რამდენად შესაძლებელია, რომ ლარიზაციის გეგმამ ფინანსური სექტორის სტაბილურობას საფრთხე შეუქმნას და ვინ უნდა აგოს პასუხი ამ შემთხვევაში?

ეს კითხვა დაუსვა სააგენტომ რომან კაკულიას, რადგან ვიდრე გალარების სოციალური პროგრამა დაიწყებოდა, ბანკები საკმაოდ აქტიურად ურეკავდნენ კლიენტებს და დოლარში აღებულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირებას სთავაზობდნენ.

– ყველა ეს შენიშვნა მეც მაქვს მოსმენილი და არ არის ეს ლოგიკის არმქონე შენიშვნები. ალბათ სასწორზე იდება ეს თემები და გადაწონა უფრო იმან, რა გზითაც ჩვენ წავედით მთელი რიგი არგუმენტების გათვალისწინებით.

ეს არის ის გადაწყვეტილება, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ისეთი ნეგატიური ეფექტები, რაზეც კითხვები არსებობს. პასუხს ყველაფერზე მთავრობა აგებს; ვიდრე ჩვენ ვართ ხელისუფლებაში, კარგიც და ცუდიც, რაც ამ ქვეყანაში მოხდება, ცხადია, ჩვენი პასუხისმგებლობაა, – განაცხადა კაკულიამ.

**თელარა გელანტია, ბიზნესკონტრაქტი**

# კახა ოქრიაშვილის შვილი თბილისში ფიზიკური მომზადების ცენტრს ხსნის

თბილისში, ალმაშენებლის ქუჩაზე, პროფესიონალური ფიზიკური მომზადების ცენტრი „ჩემპიონთა აკადემია“ იხსნება.

ამის შესახებ ბიზნესკონტრაქტს ცენტრის დამფუძნებელმა, PSP-ს დამფუძნებლის კახა ოქრიაშვილის შვილმა, გიორგი ოქრიაშვილმა განუცხადა.

მისივე განცხადებით, ცენტრის ტექნიკური გახსნა მიმდინარე კვირაში იგეგმება.

აღნიშნული ცენტრი იქნება მთლიანად მორგებული პროფესიონალი სპორტსმენების გადამზადებაზე.

– ეს არ იქნება ფიტნესკლუბი. ჩვენ ვართ პროფესიონალური ფიზიკური მომზადების ცენტრი. ცენტრი შეიქმნა პროფესიონალი სპორტსმენებისთვის და მათ მაღალკვალიფიციურ ფიზიკურ მომზადებას ვთავაზობთ.

აქედან გამომდინარე, მწვრთნელები და აღჭურვილობა არის მაღალი ხარისხის და მთლიანად მათ მოთხოვნებს მორგებული. ცენტრის კარი ყველასთვის ღიაა, თუმცა ფოკუსირება გაკეთებულია სპორტსმენების გადამზადებაზე, – აცხადებს ოქრიაშვილი.

მისივე თქმით, ცენტრში დაახლოებით 4 მილიონი ლარის ინვესტიციაა ჩადებული. ამასთან, ცენტრი მოიცავს მომხმარებელზე მორგებულ 12 განსხვავებულ პაკეტს, რომელთა ფასები მასში შემავალ მომსახურებებზეა დამოკიდებული.

**ბიზნესკონტრაქტი**


**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# პრეზიდენტმა მართლმსაჯულების რეფორმის პაკეტს ვეტო დაადო

## გადალახავს თუ არა ამ ვეტოს პარლამენტი?

პრეზიდენტმა მარგველაშვილმა სასამართლო რეფორმის მიზნით პარლამენტის მიერ დეკემბერში მიღებულ საკანონმდებლო პაკეტს ვეტო დაადო და იმ შენიშვნებზე ისაუბრა, რომელთა გათვალისწინებასაც საკანონმდებლო ორგანოს სთავაზობს.

– ჩემთან ხელმოსაწერად შემოვიდა სასამართლო რეფორმის საკანონმდებლო პაკეტი, რომელიც მნიშვნელოვან ცვლილებებს გვპირდება სასამართლო სისტემაში.

პროექტში არის რამდენიმე დადებითი ცვლილება, მათ შორის, საქმეთა ელექტრონული განაწილება, თუმცა კანონთა პაკეტი მოიცავს რამდენიმე ფუნდამენტური მნიშვნელობის ნორმას, რომლებიც გაუმართლებელ ძალაუფლებასა და პრივილეგიას ანიჭებს სასამართლოს თავმჯდომარეებს და ძალაუფლების მნიშვნელოვან ბერკეტებს უტოვებს მათ.

ამ ცვლილებების უმრავლესობა ეწინააღმდეგება ვენეციის კომისიის დასკვნასა და რეკომენდაციებს, – განაცხადა პრეზიდენტმა.

მისი თქმით, აუცილებელია სასამართლოს დამოუკიდებლობა და მოსამართლეთა თავისუფლების უზრუნველყოფა, სასამართლო სისტემის დეცენტრალიზაცია, სასამართლოს თვითმმართველობის განმტკიცება და მოსამართლეთა კონტროლის ბერკეტების მაქსიმალურად შემცირება.

– ამიტომ მე გადავწყვიტე, საქართველოს პარლამენტს გადავუგზავნო მოტივირებული შენიშვნები მესამე ტალღის კანონპროექტზე. ჩვენი შენიშვნები სრულიად იზიარებს ვენეციის კომისიის პოზიციას იმისთვის, რომ უზრუნველვყოთ მოსამართლეთა მეტი თავისუფლება, გამოვრიცხოთ სასამართლოს სისტემის შიგნით გაუმართლებელი მაკონტროლებელი სტრუქტურებისა და თანამდებობების შექმნა, უფრო დემოკრატიული გავხადოთ სისტემის შიგნით გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმი, – აღნიშნა მარგველაშვილმა.

ის პარლამენტს სთავაზობს:

1. სასამართლოს თავმჯდომარეების არჩევა მოხდება მოსამართლეების მიერ და არა დანიშვნა იუსტიციის საბჭოს მიერ; ყველა სასამართლოს უნდა მიეცეს საშუალება თავად აირჩიოს თავმჯდომარე, რაც უზრუნველყოფს სასამართლოს მეტ დამოუკიდებლობას და მოსამართლეთა თვითმმართველობის განმტკიცებას, როგორც ეს მოხდა საკონსტიტუციო სასამართლოს შემთხვევაში.

2. ერთსა და იმავე პირს აღარ ექნება საშუალება, იყოს სასამართლოს თავმჯდომარე და, ამავე დროს, პალატისა და კოლეგიის თავმჯდომარე.

3. სამწლიანი გამოსაცდელი ვადის გამოყენება აღარ მოხდება შემდგომ დანიშვნებზე.

4. კანონით დაზუსტდება უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების რაოდენობა.

5. იუსტიციის საბჭოში მოსამართლეებს ექნებათ საშუალება, წარდგენილი იყვნენ უფრო მძლავრად, რადგან სასამართლოს თავმჯდომარეებს აღარ ექნებათ საშუალება, იყვნენ საბჭოს წევრები.

6. დაზუსტდება კონკურსის დროს კანდიდატზე ინფორმაციის მოგროვებისა და გავრცელების წესები.

პრეზიდენტი იმედოვნებს, რომ სასამართლოს დამოუკიდებლობის მაღალი ინტერესებიდან გამომდინარე, საქართველოს პარლამენტი დაუბრუნდება კანონპროექტის განხილვას და გაითვალისწინებს როგორც პრეზიდენტის მოტივირებულ შენიშვნებს, ისე ვენეციის კომისიის მოსაზრებებს.

❖ ❖ ❖

როგორც მოსალოდნელი იყო, პრეზიდენტის ვეტოს არაერთგვაროვანი შეფასებები მოჰყვა.

– ვერავითარ ინტერესს, რომ ეს ვეტო დავძლიოთ, ვერ ვხედავთ.

ამის შესახებ პარლამენტის ვიცესპიკერმა გია ვოლსკიმ ინტერპრესნიუსს განუცხადა.

– ჩვენთვის საგანგებო მნიშვნელობა აქვს მთავარ საკითხს, შენიშვნები არის თუ არა მართლაც მოტივირებული – იქნებ რაიმე გამოგვრჩა, რაიმე ფორმულირებას ისე არ ვაყალიბებთ... ჩვენთვის მნიშვნელოვანია, ვიცოდეთ პრეზიდენტის მოსაზრება. დარწმუნებული ვარ, პრეზიდენტმაც ეს ვეტო გამოიყენა არა რაღაც კონიუნქტურული მოსაზრებით, არამედ სწორედ ამ მიზნითა და სულისკვეთებით, რომელზეც ვისაუბრე.



სამწუხარო ერთია, რომ როცა ასეთი მოტივირებული შენიშვნები კეთდება, იქ არ რჩება ადგილი საზოგადოებრივ სივრცეში იმის განსახილველად, თუ რამდენად საქმიანია ვეტო ან უმრავლესობის პასუხი. ხდება ლაპარაკი იმაზე, რომ პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის გარკვეული დაპირისპირებაა, რაც ჩვენი ქვეყნისთვის არ არის კარგი, – განაცხადა გია ვოლსკიმ.

დეპუტატმა იმედი გამოთქვა, რომ საქმე გვაქვს საქმიან და სიღრმისეულ საკითხებთან.

– ვაცადოთ მოვლენების განვითარებას, განვიხილავთ, ჩავიხედავთ დეტალებში და შემდეგ უფრო კონკრეტულ განცხადებებს გავაკეთებთ, – აღნიშნა ვიცესპიკერმა.

❖ ❖ ❖

პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიასთვის პრეზიდენტის ვეტო უცნაური და გაუგებარი აღმოჩნდა.



როგორც ბესელიამ ინტერპრესნიუსს განუცხადა, აღნიშნულ რეფორმას, რომელიც ისედაც შეფერხებული იყო, ვინაიდან კონსენსუსის მიღწევა გართულდა, პრეზიდენტის ვეტო კიდევ უფრო შეაფერხებს.

– იმ ფონზე, როდესაც დიდი მოლოდინია რეფორმის ამოქმედების, სიმართლე გითხრათ, ეს გადაწყვეტილება ჩემთვის უცნაურია. ამავე დროს, რეფორმის მიზანია, მართლმსაჯულება გახდეს კიდევ უფრო დამოუკიდებელი, მოსამართლეებს შეექმნათ დამოუკიდებლობის მაღალი გარანტიები და საქართველოში დემოკრატიულ პროცესს, ადამიანის უფლებების კუთხით მართლმსაჯულების გაძლიერებას შეექმნას საკანონმდებლო ბაზა.

ეს არის რეფორმის ამოცანა და მიზანი და ჩვენ ამ მიზნის ირგვლივ ვიქნებით გაერთიანებულები შემდეგი გადაწყვეტილების დროსაც, – განაცხადა ბესელიამ.

დეპუტატი პრეზიდენტის მოტივირებული შენიშვნების შინაარსზე ამ ეტაპზე ვერ ისაუბრებს, ვიდრე ისინი პარლამენტს არ გადაეგზავნება.

ბესელიას თქმით, კომიტეტში შინაარსობრივი განხილვის შემდეგ იქნება მიღებული გადაწყვეტილება, პარლამენტი დაძლევს ვეტოს თუ სხვა პოზიცია ექნება.

❖ ❖ ❖

– სიურპრიზი არაფერია. შენიშვნების უმეტესობა პირდაპირ იზიარებს ვენეციის კომისიის პოზიციას, ამიტომ ეს მოულოდნელი არ შეიძლება იყოს ვინმესთვის.

ამის შესახებ ინტერპრესნიუსს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა ანა დოლიძემ განუცხადა.



როგორც დოლიძემ აღნიშნა, საკანონმდებლო ორგანოსთვის ცნობილი იყო პრეზიდენტის პოზიციები პრობლემატურ საკითხებზე. მისივე თქმით, მოტივირებული შენიშვნების დიდი ნაწილი იმ ცვლილებებს ეხება, რომლებიც კანონპროექტმა მესამე მოსმენისას განიცადა.

– ძალიან ბევრჯერ იყო საუბარი პრეზიდენტის ამ პოზიციებზე პარლამენტში. ჩვენ მუდმივად ვაპელირებდით ამ საკითხებზე, მათ შორის პრეზიდენტის გამოსვლაში იყო საუბარი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების წესზე. რაღაც თემები, სხვათა შორის, ბოლო მოსმენის დროს შეიცვალა.



მაგალითად, სასამართლოს თავმჯდომარეების არჩევითობა იყო კანონპროექტში ბოლო მომენტამდე და, აქედან გამომდინარე, შენიშვნის გამოთქმაც არ იყო საჭირო. ბოლო მოსმენისას კი ეს შეიცვალა და ამიტომ გახდა ამ საკითხზე საჭირო შენიშვნის გამოთქმა. ვენეციის კომისიას ჰგონია, რომ სასამართლოების თავმჯდომარეები არჩევითები არიან, – განაცხადა ანა დოლიძემ.

მისივე თქმით, ერთ-ერთი შენიშვნა ეხება მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადის გაუქმებას, რაზეც რეკომენდაციები ვენეციის კომისიასაც ჰქონდა.

– ვენეციის კომისიას არაერთხელ უთქვამს, რომ მოსამართლეთა გამოსაცდელი ვადის შენარჩუნება არ შეიძლება და ჩვენ ვფიქრობთ, ამ კანონის ძალაში შესვლიდან კონკურსის საფუძველზე შერჩეული მოსამართლეები დაინიშნონ უვადოდ, – განაცხადა პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა.

რაც შეეხება მოსაზრებებს იმის თაობაზე, რომ პრეზიდენტის ვეტომ, შესაძლოა, სასამართლო რეფორმის მესამე ტალღის განხორციელება გააჭიანუროს, ანა დოლიძე ამ პოზიციებს არ იზიარებს.

– ეს კანონპროექტი მეორე მოსმენით საქართველოს პარლამენტმა 2016 წლის გაზაფხულზე მიიღო, მესამე მოსმენით კი ახალი მოწვევის პარლამენტმა მიიღო დეკემბრის ბოლოს. სად გადაიწია ამ რეფორმამ და სად მოხდა დროის გაყვანა, ამის მიხედვით დაასკვნას ყველამ.

რაც შეეხება საქმეთა ელექტრონული წესით განაწილებას, ეს სიახლე ძალაში შედის 2017 წლის დეკემბრიდან და აქედან გამომდინარე, არავითარი არგუმენტი არ არსებობს იმისა, რომ დრო იწელება, რადგან ტექნიკურ საკითხებზე მუშაობა ჩვეულებრივად გრძელდება, – განაცხადა ანა დოლიძემ.

## თბილისში მერსედესის მარკის ავტომობილი დაიწვა

თბილისში მერსედესის მარკის ავტომობილი დაიწვა.

მანქანის დაწვის ფაქტზე გამოძიება დაწყებულია. როგორც ინტერპრესნიუსს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში განუცხადეს, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს.

მერსედესის მარკის ავტომობილი აფრიკის დასახლებაში გუშინ დილით დაიწვა.



## ქალთა წინდაცვეთა სისხლის სამართლის წესით დასჯადი ხდება

ქალთა წინდაცვეთა სისხლის სამართლის წესით დასჯადი ხდება.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მომზადებული საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი მთავრობამ გუშინდელ სხდომაზე დაამტკიცა.

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტი 20-მდე კანონს შეეხება, მათ შორის, „სისხლის სამართლის კოდექსს“ დაემატება ახალი – 1332-ე მუხლიც, რომელიც ქალთა წინდაცვეთის კრიმინალიზაციას ითვალისწინებს.

ცვლილებების თანახმად, ქალთა წინდაცვეთა ან ქალის იძულება-დაყოლიება ამ რიტუალის ჩასატარებლად რელიგიური, რიტუალური, ეროვნული, ეთნიკური ან სხვა ტრადიციების გავლენით ან მის გარეშე სისხლის სამართლის წესით დაისჯება.

იმავე დანაშაულის ჩადენა ორსული, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ან არასრულწლოვანის მიმართ დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნევა.

როგორც იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა აღნიშნა, ამ სახის ქმედებათა სისხლის



სამართლის წესით დასჯადად გამოცხადება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმ ფონზე, როდესაც უკანასკნელ პერიოდში საქართველოს ტერიტორიაზე გამოვლინდა არაერთი მსგავსი შემთხვევა.

## დიდუბეში მამაკაცს ბათუმისკენ მიმავალი მატარებელი დაეჯახა

დიდუბეში არსებულ რკინიგზის გადასასვლელთან მამაკაცს მატარებელი დაეჯახა.

შემთხვევა გუშინ, 24 იანვარს, მოხდა.

შემთხვევის შედეგად შუახნის მამაკაცი ადგილზევე დაიღუპა.

მომხდარზე საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 275-ე მუხლითაა აღძრული, რომელიც რკინიგზის, წყლის, საჰაერო ან საბაგირო ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

„საქართველოს რკინიგზის“ ინფორმაციით, მამაკაცს თბილისიდან ბათუმის მიმართულებით მოძრავი ორსართულიანი მატარებელი დაეჯახა.

## კოსტავას ქუჩაზე ავარიის შედეგად მამაკაცი დაიღუპა

თბილისში, კოსტავას ქუჩაზე, ავტოსაგზაო შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა.

ავტომობილი შუახნის მამაკაცს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიმდებარე ტერიტორიაზე დაეჯახა.

მომხდართან დაკავშირებით შინაგან საქმეთა სამინისტრომ ძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეხუთე ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 4-დან 7 წლამდე.




ძვალ-სახსართა პრობლემების:

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# მაიკ პომპეომ ფიცი დადო

ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ახალმა დირექტორმა მაიკ პომპეომ ფიცი დადო.



მისგან ფიცი აშშ-ის ახალმა ვიცე-პრეზიდენტმა მაიკლ პენსმა მიიღო.

– მე მსოფლიოში ყველაზე პრესტიჟული სადაზვერვო სამსახურის უფროსად დამნიშნეს. ეს უდიდესი ნდობაა, რაც უნდა გავამართლო, – თქვა პომპეომ.

მაიკლ პენსმა თავის მხრივ შენიშნა, რომ ცსს მსოფლიოში ყველაზე ძლიერი სპეცსამსახურია. აქ თავი მოიყარეს არა მხოლოდ უმაღლესი რანგის პროფესიონალებმა, არამედ ინტელექტუალებმა, ჯენტლმენებმა და რაინდებმა.

– მაიკ პომპეოც ინტელექტუალი, ჯენტლმენი და რაინდია, – თქვა პენსმა.

# აშშ ტრანს-წყნარი ოკეანის თანამშრომლობის ხელშეკრულებიდან გავიდა



პრეზიდენტმა ტრამპმა ხელი მოაწერა განკარგულებას, რომელიც აშშ-ის წყნარი ოკეანის თანამშრომლობიდან გასვლას ითვალისწინებს.

– მე ჩემი წინასაარჩევნო დაპირებების შესრულება დავიწყე, – განუცხადა ტრამპმა ჟურნალისტებს.

შეკითხვაზე, როდის შეასრულებს პრეზიდენტი მეორე დაპირებას და რუსეთის მიმართ დაწესებულ სანქციებს გააუქმებს, ტრამპმა მიუგო:

– მაპატიეთ, მაგრამ მე არასოდეს მითქვამს, რუსეთის მიმართ დაწესებულ სანქციებს გავაუქმებ-მეთქი! მე მხოლოდ ის ვთქვი, რომ მსურს, პუტინთან საერთო ენა გამოვძებნო! ეს სანქციების ავტომატურად გაუქმებას არ ნიშნავს.

# კონგრესის კომიტეტმა რექს ტილერსონს მხარი დაუჭირა



აშშ-ის კონგრესის კომიტეტმა სახელმწიფო მდივნის პოსტზე რექს ტილერსონი დაამტკიცა.

ტილერსონმა კვლავ განაცხადა, რომ რუსეთთან ძალისმიერი პოზიციებიდან ლაპარაკის მომხრეა და სანქციების თუნდაც შესუსტება დაუშვებლად მიაჩნია.

– ობამა რუსებს ელოლიავებოდა. შედეგად გვაქვს ყირიმის ანექსია, ომი დონბასში, ომი სირიაში, ლტოლვილთა ნაკადი ევროპაში. ასე გაგრძელება აღარ შეიძლება! დროა, რუსებს ჭკუა ვასწავლოთ! – თქვა ტილერსონმა.

# მექსიკის პრეზიდენტი მიგრანტების უფლებების დაცვას აპირებს



მექსიკის პრეზიდენტმა ნიეტემ განაცხადა, რომ აშშ-თან კონსტრუქციული ურთიერთობების მომხრეა.

ამავე დროს, მან აღნიშნა, რომ აშშ-ში მცხოვრები მექსიკელების დევნის უფლებას არავის მისცემს.

– ტრამპთან ურთიერთობისას ამერიკაში მცხოვრებ მექსიკელთა უფლებებს კბილებით დავიცავ, – თქვა ნიეტემ.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# შეხვედრა ასტანაში

ყაზახეთის დედაქალაქში სირიის კონფლიქტის მოგვარებასთან დაკავშირებული პირველი შეხვედრა გაიმართა.



მასში მონაწილეობდნენ როგორც ასადის მომხრე, ასევე მოწინააღმდეგე ძალები.

შეხვედრაზე რუსეთის, თურქეთის, ირანის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. აშშ-ს ყაზახეთში ამერიკის ელჩი კროლი წარმოადგენდა.

მოლაპარაკებებზე რუსეთი და ირანი ასადის მომხრეებს უჭერდნენ მხარს, თურქები და ამერიკელები კი – ოპოზიციას.

რამდენჯერმე ვითარება დაიძაბა. განსაკუთრებით ეს საგრძნობი მას შემდეგ გახდა, როცა ოპოზიციის წარმომადგენელმა ასადის რეჟიმს ტერორისტული უწოდა. ეს უკანასკნელნიც ვალში არ დარჩნენ და ოპონენტები ისლამისტებთან კავშირში დაადანაშაულეს.

# ირანში ბოდიბილდერი ქალი დააპატიმრეს

ირანში ციხეში აღმოჩნდა ბოდიბილდერი ქალი, რისი მიზეზიც სოციალურ ქსელებში გამოქვეყნებული ვარჯიშების ამსახველი ფოტოსურათები გახდა, რომელიც ისლამისთვის შეუფერებლად იქნა მიჩნეული.

სპორტსმენი გოგონას ვინაობა არ ზუსტდება. სავარაუდოდ, ის შირინ ნობახარია, რომელსაც ინსტაგრამში 68 ათასზე მეტი ხელმომწერი ჰყავს. ქალი საპატიმროში იმყოფება, ვინაიდან გირაოს სანაცვლოდ განთავისუფლება ვერ მოახერხა. მას არ აღმოაჩნდა



ორი მილიონი რიალი (დაახლოებით 60 დოლარი).

ნობახარი ორიდან ერთ-ერთი ირანელი ქალია, რომელიც საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობს. 2016 წლის სექტემბერში, როდესაც ის სამშობლოში დაბრუნდა, მას ხელისუფლებამ გაფრთხილება მისცა „შეუფერებელი“ სელფით გატაცების გამო.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ხორვატიის ებრაელთა სათვისტომო აღშფოთებულია

ხორვატიის ებრაელთა სათვისტომოს ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ პარლამენტში ჰოლოკოსტის მსხვერპლთა ხსოვნის დღეს არ დაესწრება.

მიზეზი ყოფილი იასენოვაცის საკონცენტრაციო ბანაკის ტერიტორიაზე ახალი მემორიალური დაფის გაჩენაა, რომელზეც წერია:

– სამშობლოსთვის მზად ვართ!

ხორვატი ებრაელები თვლიან, რომ ეს უსტაშური მისალმებაა. უსტაშებს ისინი ფაშისტებად მოიხსენიებენ, თუმცა ამას ხორვატიის მოქალაქეთა უმრავლესობა არ იზიარებს. საქმე ისაა, რომ უსტაშები ხორვატიის დამოუკიდებლობისთვის იბრძოდნენ, 1941 წლის 10 აპრილს კი ხორვატიის დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნასაც მიაღწიეს.

1991 წლიდან დღემდე ხორვატიის ებრაელთა სათვისტომი კატეგორიულად მოითხოვს, რომ სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცეს ყველა, ვინც უსტაშებს პატრიოტებად მოიხსენებს.



– ის, რომ იასენოვაცის ბანაკში გაჩნდა მემორიალური დაფა უსტაშური მისალმებით, იმ უამრავი ებრაელის შეურაცხყოფაა, რომლებიც აქ დაიღუპნენ, – ამბობენ ხორვატული ებრაული სათვისტომოს წარმომადგენლები.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# ჯორჯ კლუნი ტყუპების მამა გახდება

ჰოლივუდის მსახიობი ჯორჯ კლუნი და მისი მეუღლე ამალი კლუნი მშობლები გახდებიან. ამ ინფორმაციას წყვილთან დაახლოებულ წყაროზე დაყრდნობით ერთ-ერთი გამოცემა ავრცელებს.

მას მედიის ინფორმატორის თქმით, კლუნების ოჯახი ტყუპების მოლოდინშია.

– როდესაც ამალმა და ჯორჯმა გაიგეს, რომ ტყუპები ეყოლებოდათ, გაოცებულები და ამავე დროს ოდნავ შეშინებულებიც დარჩნენ. ვინაიდან ორივეს ყოველთვის მიაჩნდა, რომ ერთი ბავშვიც საკმარისი იქნებოდა. თუმცა ამბავმა, რომ მათ გოგონა და ბიჭი ეყოლებათ, ისინი ძალიან გაახარა. ისინი გრძნობენ, რომ ოჯახური ჯეკპოტი მოხსნეს, – განაცხადა ინფორმატორმა.



ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ ბავშვების ჩასახვა ხელოვნური განაყოფიერებით მოხდა და ეს პროცედურები წყვილისთვის ადვილი არ ყოფილა, ვინაიდან მისის კლუნის სამედიცინო მანიპულაციების შიში აქვს, განსაკუთრებით კი ინექციების მიმართ.

ჯერჯერობით 55 წლის ჯორჯს და 38 წლის ამალის მათ ოჯახში სამომავლოდ მატებასთან დაკავშირებით გავრცელებული ინფორმაცია ოფიციალურად არ დაუდასტურებიათ.

# ზიმბაბვეში მეხის დაცემას ექვსი ადამიანი ემსხვერპლა

ზიმბაბვეში მიცვალებულის გასვენებაში მეხის დაცემის შედეგად ექვსი ადამიანი დაიღუპა. ინციდენტი ქვეყნის დასავლეთ ნაწილში, პროვინცია ჩრდილოეთ მატაბელელენდში მოხდა.

სოფლის მცხოვრებლები შეიკრიბნენ იმისთვის, რათა სოფლის ბელადის და დაესაფლავებინათ. ამ დროს ატყდა ჭექა-ქუხილი და მეხი დაეცა სახლს, რომელსაც ცეცხლი წაეკიდა, თუმცა არავინ დაშავებულა. შემდეგი ჭექა-ქუხილის დროს მეხი უკვე ხეს დაეცა, რომლის ქვეშაც შეფარებულები იყვნენ დასაფლავების მონაწილეები.

მეხის დაცემის შედეგად ექვსი ადამიანი დაიღუპა, კიდევ სამმა დამწვრობა მიიღო. ერთ-ერთმა ადგილობრივმა მცხოვრებმა დაშავებულები საკუთარი მანქანით ბინგას საოლქო საავადმყოფოში გადაიყვანა. მათ სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს და სახლში გაუშვეს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## განცხადებები

### მკურნალობა

● კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა – შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09; 295-40-58 ჯემალი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით – იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) – მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან – შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომპანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის პროფილაქტიკა, გულსისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისაგან, წნევების დარეგულირება, 100%-ით. ტელ: 577-29-37-41 ქეთი; 247-58-83.

● იმპოტენციის, პროსტატიტის ადენომის (ავთვისებიანი გადაგვარების დროსაც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობის, წვის, შარდვისას ტკივილის, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.

# ზურაბ დათუნაშვილმა პოდუბნის მემორიალი მოიგო



საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრების წევრი, ევროპის მოქმედი ჩემპიონი ზურაბ დათუნაშვილი მოსკოვში გამართული ივან პოდუბნის სახელობის საერთაშორისო გრან-პრის გამარჯვებული გახდა. ევროპის ვიცე-ჩემპიონმა რობერტ კობლიაშვილმა კი ვერცხლის მედალი მოიპოვა. საერთო გუნდურ ჩათვლაში კი საქართველოს ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავა.

დათუნაშვილმა ამჯერად მისთვის უჩვეულო 80 კგ კატეგორიაში იასპარეზა და ფინალში რუსეთის წარმომადგენელი ადლან აკიევი ბოლო წუთზე მოპოვებული მომგებიანი 2-ქულიანი გდებით დაამარცხა. არადა, ქართველი მოჭიდავე ამ გდებამდე 1:3 აგებდა.

ფინალამდე დათუნაშვილმა კიდევ 3 რუსი მეტოქე ჩამოიშორა: ხუსეინ ჟანგურადოვს 2:2-ზე ასევე ბოლო ქულის მოპოვებით აჯობა, ბისლან ასაკალოვს 2:1 მოუგო, ხოლო ნახევარფინალში იმილ შარაფეტდინოვი ასეთივე ანგარიშით დაამარცხა.

ვერცხლის მედალი რობერტ კობლიაშვილმა (85) მოიპოვა. მან მხოლოდ ფინალური დაპირისპირება დათმო რუსების ქართველ ოლიმპიურ ჩემპიონ დავით ჩაკვეტაძესთან. ფინალამდე კი ასევე 3 რუსი მეტოქე ჩამოიცილა. ბოგდან ჩურკინს 3:0, მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონს ევგენი სალეევს 2:1 და ნახევარფინალში არტურ სურკოვს 1:1-ზე მოუგო.

გამარჯვებით დაიწყო ასპარეზობა მინდია წულუკიძემაც (75), რომელმაც პირველ შეხვედრაში ლატვიელი ევგენი კოლცოვი 53 წამში 8:0 დაამარცხა, 7:4 მოუგო რუს ზაურ გუბაევს, მაგრამ მომდევნო წრეში ხორვატ ანტონინო კამენატენთან დამარცხდა.

რევაზ ნადარეიშვილს (98) პირველ შეხვედრაში თანაგუნდელი ვლადიმერ გეგეშიძე უნდა დაჭიდებოდა, მაგრამ გეგეშიძე შეჯიბრამდე ვარჯიშზე მიღებული ტრავმის გამო ვერ გამოცხადდა და ნადარეიშვილი მერვედფინალში გავიდა, სადაცა რუს კონსტანტინ ეფიმოვთან დამარცხდა.

ხალიჩაზე გიორგი დავითაია (66), გიორგი დათუნაშვილი (75) და ნიკოლოზ კელასოვიც (80) გავიდნენ, თუმცა ისინი ასპარეზობას საწყის ეტაპზევე გამოეთიშნენ.

ივან პოდუბნის საერთაშორისო გრან პრის გათამაშება 58-ედ გაიმართა, სადაც 11 ქვეყანა მონაწილეობდა.

ეს ტურნირი მსოფლიოს პრესტიჟული ტურნირების რუკაზეა აღბეჭდილი. საქართველოს ნაკრებს კი აღნიშნულ შეჯიბრზე 1993 წლის შემდეგ არ უასპარეზია.

# გადახალისებული საქართველოს ნაკრები უზბეკეთს დაუზავდა

**უზბეკეთი-საქართველო 2:2**

**დუბაი. სევენს სთედიუმი**

**1:0 შამურადოვი (45), 1:1 შონია (69), 1:2 ს.ლობჟანიძე (77), 2:2 შამურადოვი (78)**

**უზბეკეთი:** ლობანოვი, ბიკმაევი (მაშარიპოვი 57), ახმედოვი, ისკანდეროვი (აშურმატოვი 90), სერგეევი, სოხიბოვი, ანდრეევი, შუკუროვი (კუტიბაევი 80), ტუხტახუჯაევი, ხაშიმოვი, შამურადოვი

**საქართველო:** კვასხვაძე, უ.ლობჟანიძე, ხოჭოლავა, ს.ლობჟანიძე (ხარაიშვილი 82), არაბული (პარუნაშვილი 57), ზივზივაძე, კიტეიშვილი (პაპუნაშვილი 89), ტუღუში (დვალიშვილი 70), შერგელაშვილი (ტაბიძე 89), რეხვიაშვილი, შონია (მამასახლისი 83)

**გაძევება:** ახმედოვი (89)



დავიწყოთ იმით, რომ 21-ე საუკუნეში და უზარმაზარი ტექნოლოგიური პირობების დროს, მატჩის ნახვის საშუალება ბოლო წამამდე პრობლემური იყო. ისევ უზბეკეთის ფეხბურთის ფედერაციამ „გვიხსნა“, რომელმაც პირდაპირი რეპორტაჟი გვიჩვენა. არადა, წინა დღეს ფეხბურთის ფედერაციისგან ინფორმაცია გავრცელდა, უზბეკებმა დახურული თამაშის მოითხოვესო. უფრო უპრიანი იქნებოდა, ამ საკითხებზე მაშინვე ესაუბრათ, როდესაც მატჩის ჩატარებაზე შეთანხმდნენ; და მეორეც: თუ უზბეკებმა დახურული მატჩი მოითხოვეს, რატომ აწარმოეს რეპორტაჟი თავად?

მოკლედ, ამ კუთხით კითხვები ბევრია, პასუხი კი, სავარაუდოდ, არ გამოჩნდება.

ახლა მატჩზე: ჩვენი გუნდი რომ უფრო კლუბების ნაკრების რანგში იქნებოდა, ეგ თავიდანვე ვიცოდით, რადგან ვლადიმირ ვაისს საქმეში უახლოესი რეზერვის ნახვა სურდა. ამაში ვერ გავამტყუნებთ, რადგან ისედაც საჭირო იყო ნახვა, თუ რა დონეზეა ჩვენი ჩემპიონატი, პლუს არც უეფას სანაკრებო ფანჯარა იყო.

ვაისმა გუნდი 4-3-3 ტაქტიკური სქემით ათამაშა. დაცვის ცენტრში დავით ხოჭოლავა და გიორგი რეხვიაშვილი იდგნენ, მარჯვენა მცველად უჩა ლობჟანიძე, რომელიც გუნდს კაპიტნობდა, ხოლო მარცხნივ – ლაშა შერგელაშვილი.

საყრდენად თემურ შონია იდგა, მის წინ ოთარ კიტეიშვილი და ბაჩანა არაბული, რომლებიც კლასიკურ ათიანს კი არ თამაშობდნენ, უფრო ფლანგებისკენ იყვნენ შეწეული.

შემტევის ფლანგებზე ბექა ტუღუში და საბა ლობჟანიძე იდგნენ, ხოლო ცენტრში – ბუდუ ზივზივაძე.

მატჩი მოსაწყენი იყო. შეუთამაშებლობა ყველაზე მეტად ჩანდა, ჭირდა ბურთის კონტროლი, აქედან გამომდინარე, სახიფათო მომენტების შექმნაც. დიდად არც უზბეკები გამოირჩეოდნენ, თუმცა ტაიმის ბოლოს გააქტიურდნენ და 2 მომენტიც შექმნეს, აქედან ერთი გოლად აქციეს.

ელდარ შომურადოვმა ტაიმის ბოლო წუთზე „ჩაძინებულ“ უჩა ლობჟანიძეს დაასწრო და თავით გაიტანა.

მატჩის შემდეგ ვაისმა კი თქვა, პირველ ტაიმში 3 საგოლე მომენტი გვქონდაო, მაგრამ ჩვენ მსგავსი არაფერი შეგვიმჩნევია.

მეორე ტაიმში საქართველო უკეთ გამოიყურებოდა და ტერიტორიულ უპირატესობასაც ფლობდა. ამან შედეგი გამოიღო და ზედიზედ 2 გოლი გავიტანეთ: ჯერ სტანდარტიდან თემურ შონიამ თავით გაიტანა, შემდეგ კი საბა ლობჟანიძემ დაასრულა ჩვენების შეტევა.

მეტოქემ გახარება არ გვაცადა და ლობჟანიძის გოლის შემდეგ პირველივე შეტევა იმავე შომურადოვმა გოლით დაასრულა. აქ უკვე მთელ საქართველოს ნაკრებს „ეძინა“.

დუბაის შეკრებაზე საქართველოს ნაკრები კიდევ ერთ ამხანაგურ მატჩს დღეს იორდანიასთან გამართავს.

# ნაგელსმანი ნაძლევის წაგებაზე თანახმა იქნება



რამდენიმე დღის წინ ჰოფენჰაიმის მწვრთნელმა იულიან ნაგელსმანმა და გაზეთ რეინ ნეკარ ცაითუნგის რედაქტორმა ნაძლევი დადეს 1 ყუთ ლუდზე. რედაქტორმა იულიანს 2019 წლამდე მიუნხენის ბაიერნის მთავარი მწვრთნელის პოსტი უწინასწარმეტყველა. ზუსტად 2019 წლის ზაფხულში უმთავრდება კარლო ანჩელოტის კონტრაქტი ბავარიასთან, ხოლო ნაგელსმანს – ჰოფენჰაიმთან.

29 წლის სპეციალისტს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებს გერმანიის ნაკრების ლეგენდა ლოთარ მათეუსი:

– თუ ნაგელსმანი ასევე გააგრძელებს წარმატებას გუნდის ხელმძღვანელობაში, ის ცალსახად გახდება კანდიდატი უფრო სერიოზული მიზნების მიღწევისათვის. როგორც ცნობილია, გერმანულ ფეხბურთში ყველაზე სერიოზული მიზანი ბაიერნის გაწვრთნაა.

ნაგელსმანი იძულებული გახდა, 20 წლის ასაკში ფეხბურთელის კარიერა დაესრულებინა, მაგრამ, როგორც ყველა მწვრთნელი, იულიანიც დამშეულია გამარჯვებებზე და ეს მან 2016 წლის ნოემბერში ერთ-ერთი ინტერვიუსას დაადასტურა:

– თავმოყვარე ვარ, ტიტულებისთვის ბრძოლა მსურს, შესაძლოა, მომავალში გერმანიის ერთ-ერთი უდიდესი კლუბი ჩავიბარო.

ბუნდესლიგის 31 მატჩში „სოფლელებს“ მხოლოდ 5 წაგება აქვთ (16% საერთო მატჩების რაოდენობიდან). უფრო წარმატებული შედეგებით ბუნდესლიგაში მხოლოდ ხოსეპ გვარდიოლა (9% წაგებული თამაშების) და ჯოვანი ტრაპატონი (15%) თუ დაიკვეხნიან.

ეს მაშინ, როდესაც ორივე ბაიერნის მწვრთნელად გვევლინებოდა.

# ფაჩულიასა და გოლდენ სტეიტის მოულოდნელი მარცხი



ნბა-ს ლიდერმა გოლდენ სტეიტმა 7-მატჩიანი წაუგებელი სერია ფლორიდაში, ერთ-ერთ აუტსაიდერ მაიამისთან შეწყვიტა. ზაზა ფაჩულიას გუნდმა შეხვედრა ძირითადი დროის ბოლო წამზე წააგო.

მატჩის დასულებამდე 11 წამით ადრე კევინ დიურანტმა ეფექტური გდებით ანგარიში გაათანაბრა, თუმცა უაიტერსმა საფინალო სირენამდე 0,6 წამით ადრე გამარჯვების სამქულიანი ჩააგდო.

მიუხედავად აუტსაიდერობისა, მაიამის გოლდენ სტეიტთან პაექრობის მტკიცე ხასიათი აღმოაჩნდა. 2 კვირის წინ მაიამელებმა ოკლენდში ბოლომდე იბრძოლეს და მაშინ დასკვნით წუთებზე წააგეს.

იმ გამარჯვებაში ფაჩულია ერთ-ერთი მთავარი მოქმედი ფიგურა გახლდათ. მაიამურ მატჩშიც აქტიური იყო ქართველი ცენტრი და მასპინძელთა მრისხანე ცენტრს, ჰასან უაიტსაიდს კარგადაც მეურვეობდა.

სწორედ უაიტსაიდის გამო იყო, რომ ფაჩულიამ მის საშუალო მაჩვენებელზე მეტ ხანს ითამაშა. რაკი მაიამელთა კომბინაციების მეტი წილი მათ ცენტრზე გადის, ზაზას ჰასანის სამეურვეოდ 27 წუთს მოუწია მოედანზე ყოფნა. ეს დრო კი ქართველისთვის მიმდინარე სეზონში ყველაზე მაღალი მაჩვენებელია, მემფისთან ოვერტაიმიან მატჩს თუ არ ჩავთვლით, რომელშიც ზაზამ მოედანზე 30 წუთი დაჰყო.

ფაჩულიამ 6-დან 2 ორქულიანი და 4-დან 2 საჯარიმო ჩააგდო. 6 ქულასთან ერთად ზაზამ 9 მოხსნა, 2 პასი და 2 ჩაჭრა მოაგროვა.

ოკლენდელებმა, რომლებსაც 38 გამარჯვება აქვთ, სეზონის მე-7 მატჩი წააგეს, თუმცა ლიდერობა არ დაუთმიათ.

მომდევნო შეხვედრა გოლდენ სტეიტს შარლოტში ჰორნეთსთან ელის.

# ინგლისის ფეხბურთის ასოციაცია არსენ ვენგერს დააჯარიმებს



ლონდონის არსენალის მწვრთნელი არსენ ვენგერი ბარნლისთან მატჩის დროს გააძევეს, მაგრამ ფრანგი სპეციალისტი მოედნიდან არ გავიდა.

ბოდიშის მიუხედავად, ფრანგი სპეციალისტი სასჯელს ვერ გადაურჩება. ვენგერს გასაჩივრება ხუთშაბათ საღამომდე შეუძლია, მაგრამ აპელაცია რომც შეიტანოს, დიდი ალბათობით, ასოციაციის გადაწყვეტილება არ შეიცვლება.

არსენალისა და ბარნლის მატჩში მთავარმა მსაჯმა ჯონათან მოსმა ორივე გუნდის საზიანოდ რამდენიმე საკამათო გადაწყვეტილება მიიღო. არბიტრმა მინდვრიდან გააძევა არსენალელი გრანიტ ჯაკა, ხოლო ბოლო წუთზე ლონდონელთა კარში პენალტი დანიშნა.

უკმაყოფილება ვენგერმა ძალიან აგრესიულად გამოხატა და ზღვარგადასული ემოციურობისთვის მოსმა იგი გააძევა. ვენგერი შორს არ წავიდა და იქვე გვირაბთან დადგა. მეოთხე მსაჯმა ენტონი ტეილორმა მას მიუთითა, რომ გასახდელისკენ წასულიყო და მოედანი დაეტოვებინა, რასაც ლონდონელთა თავკაცმა ყვირილი მოაყოლა და ტეილორს ხელიც ჰკრა.

სწორედ ამის გამო დაისჯება ვენგერი.

# ბარსელონა მესის 5-წლიან კონტრაქტს შესთავაზებს



ბარსელონა ახლო მომავალში არგენტინელ ფორვარდს, ლიონელ მესის 5-წლიან კონტრაქტსა და ფიქსირებულ წლიურ ანაზღაურებას შესთავაზებს.

„ბლაუგრანას“ პრეზიდენტმა, ხოსეპ მარია ბართომეუმ განაცხადა, რომ მისი მიზანია, მესი მსოფლიოში ყველაზე მაღალანაზღაურებად ფეხბურთელად აქციოს. კატალონიური კლუბი ცდილობს, გვერდი აუაროს პუნქტებს, რომელთა გამოც ლეოს ესპანეთის საგადასახადო სამსახურთან პრობლემა შეექმნება.

კლუბს სურს, რომ მესი მშვიდად იყოს და მხოლოდ ფეხბურთზე მოახდინოს კონცენტრაცია. მოცემულ მომენტში ახალი კონტრაქტი ბართომეუს ხელშია, რომელსაც არგენტინელთან მოლაპარაკების წარმოება პირადად სურს.

სამაგიეროდ, ბარსელონას ხელმძღვანელობა ჯერ არ აპირებს მოლაპარაკებები დაიწყოს გერმანელ მეკარე მარკ-ანდრე ტერ შტეგენთან, რომელსაც კონტრაქტი 2018 წელს ეწურება.

24 წლის ტერ შტეგენის სატრანსფერო ფასი 15 მილიონი ევროა.

მიმდინარე სეზონში გერმანელმა ლა ლიგაში 17 შეხვედრა ჩაატარა, აქედან 8-ში კარი მშრალად შეინახა.

მოამზადა მიხეილ ქორქოლიანმა

## შედეგები

**23 იანვარი**

**ფეხბურთი**

**აფრიკის ერთა თასი**

| | |
|---|---|
| ზიმბაბვე-ტუნისი | 2:4 |
| სენეგალი-ალჟირი | 2:2 |

**იტალია. სერია B**

| | |
|---|---|
| პერუჯა-ჩეზენა | 3:3 |

**საფრანგეთი. მე-2 ლიგა**

| | |
|---|---|
| ბრესტი-რედ სტარი | 0:1 |

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

| | |
|---|---|
| შავიში-ნასიონალი | 2:0 |

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| იანინა-პაოკი | 0:1 |

**თურქეთი. სუპერლიგა**

| | |
|---|---|
| ალანია-ბეშიქთაში | 1:4 |

**ჩოგბურთი**

**ავსტრალიის ღია პირველობა**

**კაცები**

| | |
|---|---|
| ვავრინკა-ცონგა | 7:6,6:4,6:3 |
| ზვერევი-ფედერერი | 1:6,5:7,2:6 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| ვ.უილიამსი-პავლუჩენკოვა | 6:4,7:6 |
| ვანდევეი-მუგურუზა | 6:4,6:0 |

მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭ-ნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი



# რა არის სინუსიტი

ეკა ირემაშვილი

**სინუსიტი ცხვირის დანამატი წიაღების ანთებაა. მწვავე სინუსიტს თუ დროულად არ ვუმკურნალებთ, ქრონიკულში გადაიზრდება, მის საბოლოოდ განკურნებას კი დიდი დრო და ძალისხმევა სჭირდება. ექიმთან დროული ვიზიტისა და კომპლექსური მკურნალობის შემთხვევაში მწვავე სინუსიტი ადვილად იკურნება.**

**რა არის სინუსიტი, როგორ ჩნდება და რა სიმპტომები აქვს? — ამ თემებზე ყელ-ყურ-ცხვირის სნეულებათა ეროვნული ცენტრის ჯაფარიძე-ქევანიშვილის კლინიკის ოტორინოლარინგოლოგი მაია მაისაშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრა.**



**მაია მაისაშვილი:**

— სინუსიტი ცხვირის დანამატი წიაღების ანთებაა. დანამატი წიაღები არის 4 წყვილი: ჰაიმორის, შუბლის, ცხავისა და ძირითადი. ჰაიმორის წიაღი ყველაზე დიდია, ამიტომ ჰაიმორიტი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული სინუსიტია.

სინუსიტი შეიძლება იყოს კატარალური ანთება და, თუ არ მივაქცევთ ყურადღებას, შეიძლება, გადავიდეს ჩირქოვან ანთებაში, შეიძლება, იყოს მწვავე, შეიძლება, იყოს ქრონიკული.

***— რა იწვევს ამ დაავადებას?***

— სინუსიტის ყველაზე გავრცელებული მიზეზებია ბოლომდე არანამკურნალევი სურდო ან რაიმე ვირუსული ინფექცია, რომელიც ფეხზე გადაიტანა პაციენტმა და არ იმკურნალა. საყურადღებოა ის მდგომარეობებიც, რომლებიც ართულებს ცხვირით სუნთქვას. ესენია ცხვირის ძგიდის გამრუდება, ქრონიკული — ალერგიული ან ვაზომოტორული სურდო. ხშირად სინუსიტს პროვოცირებას უწევს დაავადებული ადენოიდები ან ზედა უკანა ოთხი კბილის ფესვის დაავადებები. თავდაპირველად წიაღში ხვდება დაავადების გამომწვევი მიკრობები, ხოლო ორგანიზმი იმუნიტეტის დაქვეითების, გაციების ან ალერგიის გამო ვერ ერევა ინფექციას. შეშუპების გამო წყდება წიაღის ვენტილაცია. ის იზოლირდება ცხვირის ღრუსგან, მაგრამ მასში თანდათანობით გამოიყოფა ლორწო, რომელიც ნელ-ნელა ავსებს წიაღს. წარმოიშობა იდეალური პირობები მიკრობების გამრავლებისთვის და წიაღში გროვდება ჩირქი.

ყველა სინუსი ცხვირის ღრუსთან დაკავშირებულია პატარა მილით ანუ სადენით, რომლითაც ხდება ღრუდან დრენირება. ლორწო როცა გამოიყოფა, ჩადის ცხვირის ღრუში. როცა ხდება მიკრობის მოხვედრა სინუსში ინფექციის შედეგად, ხდება ლორწოვანის შეშუპება და ღრუს დახშობა. ლორწო, რომელიც გამოიყოფა სინუსში, თუ დროზე არ იქნა ნამკურნალევი, მერე ჩირქდება და გადადის ჩირქოვან სინუსიტში.

***— რა სიმპტომები აქვს?***

— პირველ რიგში, ცხვირის გაჭედილობა ანუ სუნთქვის გაძნელება, ცხვირიდან ჩირქოვანი ან ლორწოვანი გამონადენი, იმის მიხედვით, როგორი სინუსიტია და თავის ტკივილი. უფრო ხშირად აღნიშნავენ, რომ თავის ძირს დახრის დროს აწვებათ და სტკივათ შუბლი. შეიძლება, ანთება იყოს ჰაიმორში და არა შუბლში, მაგრამ სიმპტომი ასეთია, იმიტომ რომ სამწვერა ნერვი გამოდის და წნევა რომ იწევს სინუსში, ნერვი ღიზიანდება და მეორადი ნევრალგია ვითარდება, რასაც აუტანელი თავის ტკივილი ახლავს.

თუ ასეთ სიმპტომებს შეამჩნევენ, განსაკუთრებით ბავშვებში, რომ თავის სტკივათ და გაჭედილი არიან ცხვირში, გამონადენი აქვთ, აუცილებელია ექიმთან მისვლა. შინაური წამლები და ბოსტნეული წვეთები არ არის გამართლებული, რადგან ზოგჯერ ალერგიას იწვევს და უარესი შეშუპება ხდება.

თუ არის ჩირქოვანი სინუსიტი, აუცილებელია ანტიბიოტიკის ჩართვა, თუმცა ეს რაციონალურად უნდა შეირჩეს, ანამნეზი გამოიკითხოს, შეირჩეს ისეთი ანტიბიოტიკი, რომ დიდი ხნით არ დაინიშნოს. ცხვირის წვეთები აუცილებელია. არის სპეციალური წვეთები ჩირქოვანი სინუსიტის დროს. ფიზიოთერაპიაც შეიძლება ჩავრთოთ.

***— სეზონურია?***

— რა თქმა უნდა. უფრო მეტად ზამთარშია ეს დაავადება აქტიური. ვირუსები აქტიურდებიან ზამთარში, თუმცა ზაფხულშიც გვაქვს შემთხვევები, ზღვაზე, მდინარეში რომ ბანაობენ, მაშინაც ჩნდება სინუსიტი.

***— რამდენად ხშირია ეს დაავადება ბავშვებში?***

— დაბადებისას დანამატი წიაღები ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია. მათი ფორმირება სხვადასხვა ასაკში ხდება. თუკი წიაღი არ არსებობს, ბუნებრივია, ვერც მისი ანთება განვითარდება... მოზრდილებში ხშირად გვხვდება პოლისინუსიტი — ყველა წიაღის ერთდროული ანთება. ხშირად ბავშვებს სინუსიტი აუზზე სიარულის დროსაც ემართებათ ქლორიანი წყლისგან. ბავშვებში უფრო ხშირად არის ეთმოიდიტი. 10 წლამდე შუბლის წიაღი განვითარებული არ არის. რომ ჰგონიათ, ფრონტიტია, ეს სიმართლე არ არის.

***— როდის შეიძლება, სინუსიტი გახდეს ქრონიკული?***

— თუ მწვავე სინუსიტს არ ვუმკურნალებთ, ის მიიღებს ქრონიკულ ფორმას. ამ დროს დაავადება თითქოს უკან იხევს, თავის ტკივილი თანდათანობით ქრება და სიმძიმის შეგრძნებაში გადადის, ცხვირი გვეჭედება არა ყოველთვის, არამედ მხოლოდ წოლისას, ჩნდება სიმპტომები, რომლებიც დამახასიათებელია ცხვირ-ხახის ქრონიკული ანთებისთვის — ჩახეხილობა, ყლაპვისას ყელის ტკივილი, სიმშრალე. ზოგჯერ ეს პროცესი უსიმპტომოდ მიმდინარეობს და წლების შემდეგ იჩენს თავს. გაქრონიკულებული სინუსიტი ხშირად იწვევს შინაგანი ორგანოების — გულის, თირკმლების, ღვიძლის, ფილტვების გართულებებს.

***— დაავადების მკურნალობა ადვილია?***

— არც ისე ადვილია ქრონიკული სინუსიტის მკურნალობა. როცა გადაიტანენ მწვავე სინუსიტს, მწვავე ჰაიმორტის ან ფრონტიტს, უნდა გაუფრთხილდნენ მინიმუმ ერთი წელი, რომ არ გაცივდნენ, თავდაბანილებმა არ იარონ გარეთ, თორემ იცის შებრუნება.

ეს დაავადება ჰგავს ჩვეულებრივ ცხვირში გაჭედილობას, რომელსაც თავის ტკივილი ახლავს თავის დახრის დროს. ყელის წვა, ჩირქოვანი გამონადენი ცხვირიდან ან ხახიდან, განსაკუთრებით დილით. ძალიან ცუდი დაავადებაა. არის კიდევ პოლიპოზური სინუსიტი, როდესაც პოლიპებით არის გავსებული მთელი სინუსიტი. ეს ალერგიული დაავადებაა და რამდენს მოჭრი, იმდენი იზრდება სოკოსავით. ჩვენს კლინიკაში არის ქირურგი მიშა თოფურია, რომელიც ენდოსკოპით ძირითად წიაღამდე მიდის და ამოკვეთს პოლიპებს. მისი ძირითადი სიმპტომია თავიდან ცხვირში გაჭედილობა, მაგრამ, თუ გართულდა, მტრისას.

***— გახშირდა დაავადებები?***

— ძალიან გახშირდა. 6 წლის პაციენტი გვყავდა პოლიპოზით, მაშინ როცა ეს დაავადება ძირითადად ასაკოვან ხალხშია. ახალგაზრდა ასაკში უფრო აგრესიულად მიმდინარეობს, უფრო მალე იზრდება. სამწუხაროდ, ყველა დაავადება გაახალგაზრდავდა.

***— რას ურჩევთ მკითხველს?***

— ყველას ვურჩევთ, თვითმკურნალობას დაანებონ თავი და დროულად მიაკითხონ ექიმს. რაც უფრო გართულებული და ხანდაზმულია დაავადება, მით უფრო რთულია მისი მკურნალობა. ყველაზე დიდი დანაშაული მკურნალობის შუა გზაში მიტოვებაა. 3 დღეში რომ გაუუმჯობესდებათ მდგომარეობა, ჰგონიათ, რომ მორჩა და წყვეტენ მკურნალობას. ეს არის ყველაზე ცუდი, იმიტომ რომ მერე გადადის ქრონიკულში. მწვავე სინუსიტი ბოლომდე უნდა მორჩეს, რომ არ მოხდეს რეციდივი და მდგომარეობა არ დამძიმდეს.

## სამხრეთაფრიკელი მღვდელი მლოცველებს მანქანის ზეთის დალევას აიძულებდა

ქადაგების ფოტოსურათებმა, რომლის დროსაც ღვთისმსახური თავის მიმდევრებს აიძულებდა მანქანის ზეთი დაელიათ, სკანდალი გამოიწვია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში.

ინციდენტი დასახლება დეივიტონში მოხდა, რომელიც ქვეყნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილში მდებარეობს. სურათებზე, რომელიც ფეისბუქში ერთ-ერთი ქრისტიანული ორგანიზაციის გვერდზე იქნა გამოქვეყნებული, ღვთისმსახური თეო ბონგანი მასეკო მრევლს ასმევს შევრონის ზეთის ბოთლის შიგთავსს.

მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მას ამგვარად სურდა მათთვის ღვთის ძალა ეჩვენებინა.

— როდესაც ჩვენ ვლოცულობთ, შხამი კვდება, ამიტომ ის ადამიანებს ზიანს ვერ აყენებს, — განმარტა მასეკომ, — არაფერი მომხდარა, საავადმყოფოსთვის არავის მიუმართავს.

ღვთისმსახურმა ასევე დაამატა, რომ შესმული მანქანის ზეთი იყო გადარჩენა და განკურნება და თავისი სიტყვების დასტურად ციტატა მოიშველია ბიბლიიდან.

რელიგიური, კულტურული და ლინგვისტური საზოგადოებების უფლებების დამცველმა კომისიის თავმჯდომარემ ტოკო მხვანაზი-ზალუვამ რელიგიურ ლიდერებს მოუწოდა, ბოლო მოუღონ ქრისტიანების აბუჩად აგდებას.



— ერთხელაც, ამგვარი საქციელის გამო, ადამიანები დაიღუპებიან, ჩვენ უბრალოდ გაგვიმართლა, რომ ეს ჯერ არ მომხდარა, — განაცხადა მან.

თავის მხრივ, შევრონის სამხრეთაფრიკულმა წარმომადგენლობამ ყველას შეახსენა, რომ მანქანის ზეთის დალევა არ შეიძლება.

## კურდღლებზე მონადირემ ყინულის ქვეშ მოყოლილი ტახები გადაარჩინა

ტელეარხმა „360“-მა გამოაქვეყნა ვიდეო, რომელზეც ასახულია, თუ როგორ გადაარჩინა მამაკაცმა ყინულის ქვეშ აღმოჩენილი ტახები.

ვიდეორგოლში ჩანს, რომ მამაკაცმა ტახი ყინულქვეშ იმ დროს აღმოაჩინა, როდესაც ის კურდღლებზე ნადირობდა.

— აი, მესმის კურდღლებზე ნადირობა! არ გაინძრეთ, თქვენ გადასარჩენად მოვდივართ! — ამბობს მამაკაცი კადრს მიღმა.

როგორც ვიდეოზე ჩანს, ყინულქვეშ სამი ტახი აღმოჩნდა. ვიდეორგოლში მამაკაცს ორი ტახი ერთიმეორის მიყოლებით ამოჰყავს, ხოლო როდესაც მესამე ცხოველის ამოყვანას ცდილობდა, გადაღება შეწყდა. ამიტომ უცნობი დარჩა, მოახერხა თუ არა მან მესამის ამოყვანაც.




**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## ასტროპროგნოზი
### 25 იანვრისათვის



**ვერძი** — იღბლიანი დღეა პირადი ცხოვრების მოსაწესრიგებლად, ასევე კარიერაში წინსვლისათვის. ახალი პერსპექტივები გელოდებათ. **კურო** — სასარგებლო ინფორმაციას მიიღებთ, რომელიც სწორი გადაწყვეტილების მიღებაში დაგეხმარებათ. ნუ გარისკავთ. **ტყუპები** — მიენდეთ პარტნიორების რჩევებს. საჭიროების შემთხვევაში ახლო ნათესავების დახმარების იმედი გქონდეთ. **კირჩხიბი** — სახიფათო და კრიტიკული დღეა. იფრთხილეთ, დიდია ტრავმების მიღების ალბათობა. რისკი გაუმართლებელია. **ლომი** — იყავით ქველმოქმედი. თუ შესაძლებლობა გაქვთ, დაეხმარეთ ადამიანებს. გელით კარიერული წინსვლა. **ქალწული** — ოჯახის წევრებთან ურთიერთობა გეძაბებათ. შექმნილი სიტუაციიდან ერთადერთი გამოსავალი მაქსიმალური თავშეკავებაა. **სასწორი** — თქვენს ყოველ მოქმედებას პასუხისმგებლობით მოეკიდეთ. ჯანმრთელობას ყურადღება მიაქციეთ. **ღრიანკალი** — დღეს მხოლოდ ჩვეული საქმით დაკავდით. ნუ გარისკავთ. მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მისაღებად შეუფერებელი პერიოდია. **მშვილდოსანი** — ძალზე იღბლიანი დღეა, განსაკუთრებით — საჯარო მოხელეთათვის. ექსპერიმენტებისგან თავი შეიკავეთ. **თხის რქა** — თქვენი ავტორიტეტის შებღალვის უფლება არავის მისცეთ. ჯანმრთელობას მეტი ყურადღება მიაქციეთ. **მერწყული** — ნუ იქნებით აგრესიული. ეს თვისება კოლეგებთან და ახლობლებთან ურთიერთობას გაგიფუჭებთ. ამას, შესაძლოა, ფინანსური დანაკარგებიც მოჰყვეს. **თევზები** — ნუ აჩქარდებით. პროფესიონალურ სფეროსა და პირად ცხოვრებაში შეცდომის დაშვების უფლება არ გაქვთ. ზედმეტი მიმნდობლობა ფინანსურად დაგაზარალებთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1; ქართველი შტანგისტი, მსოფლიო ჩემპიონი; 2. ქუჩის ტელეფონ-ავტომატი; 3. მე-19 საუკუნის ცნობილი ქართველი ოქრომჭედელი; 4. ერთ-ერთი უდიდესი ატომური ელექტროსადგური საფრანგეთში; 5. შავი ფერის მტაცებელი ფრინველი; 9. საკურორტო ცენტრი ფლორიდაში; 11. გამჭვირვალე ქსოვილზე ან მინაზე ორივე მხრიდან დახატული სურათი; 12. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 14. იურიდიულად გაფორმებული სავალო ხელწერილი; 18. სახელმწიფო აზიაში; 19. საარყე ტიკჭორა.

**თარაზულად**: 4. ფულის ერთეული ავსტრალიაში; 5. ქართველ მამაკაცთა ძველებური თავსაბურველი; 6. მწყემსი სამხრეთ ამერიკაში; 7. საფოსტო გზავნილი; 8. თურქი ჯარისკაცი; 13. საჩუქრად მირთმეული რამე; 10. ოქროს ვარაყის ძველი ქართული სახელწოდება; 15. სუპერმარკეტების ქსელის მფლობელი ფირმა საქართველოში; 16. მტაცებელი ფრინველი; 17. ესპანეთის ნაკრებისა და „ბარსელონის“ ფეხბურთელი; 20. რამდენიმე სახელმწიფოს მეთაურთა სამუშაო შეხვედრა, თათბირი; 21. კინოს ძველი სახელწოდება; 22. შავი, ტკბილი ნაყოფის მქონე კენკროვანი ბუჩქი; 23. კუთხე საქართველოში.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

### წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ხერგიანი; 2. სუეცი; 3. ყაპუზუნა; 4. დიდუბე; 7. გნოლი; 9. გრევე; 12. კრიტერიუმი; 14. დუქანი; 15. კაშხალი; 17. „ბაგრატი“; 20. კრიჟი.

**თარაზულად:** 5. ფელამუში; 6. სუარესი; 8. ბოცმანი; 10. კელასური; 11. ონაგრი; 13. ჩხავერი; 16. შეწირული; 18. კამეა; 19. ფშავი; 21. გრინგო; 22. პლანტაჟი; 23. გაუტამა.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ფოლორცი; 2. ვირსალაძე; 3. „მოტოროლა“; 4. ბრონქსი; 5. სტვირი; 9. „მაგატე“; 11. სინდიყი; 12. ბისონი; 14. გამბიტი; 18. იდიში; 19. „სიმდი“.

**თარაზულად:** 4. „ბოჟოლე“; 5. სკრივერი; 6. თოიძე; 7. გომბორი; 8. ისლამი; 10. კოქსი; 13. ცაგერი; 15. ლენგლი; 16. ლუდი; 17. ხიდი; 20. ბურიმე; 21. დინარი; 22. ბუშლატი; 23. დიზელი.

## დღის კალენდარი

### 25 იანვარი



**წლის 25-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 340 დღე.**

**საეკლესიო კალენდარი**

ხსენება წმიდა მოწამის ტატიანასი და მასთან ერთად რომში ვნებულ ქრისტიანთა, მღვდელმთავარ საბასი, სერბეთის პირველი მთავარეპისკოპოსისა; წმიდა მოწამეთა: მერტისა და პეტრე აბესალომიტისა; ღირსი დედის ევპრაქსია ტაბენისელისა. ღირსისდა ელია მეუდაბნოისა (IV), მღვდელმოწამისა ტიგრი ხუცისა და მოწამისა ევტროპი წიგნისმკითხველისა (395-408), 8-თა მოწამეთა ნიკეელთა, დღესასწაული ხატთა ყოვლადწმინდა ღვთისმშობელისათა, წმინდისა ეალიონოს რომაელისა.

წმიდა მოწამე ტატიანა დაიბადა წარჩინებულ რომაელთა ოჯახში, სადაც ღმრთისა და ეკლესიის ერთგულად ზრდიდნენ. სრულწლოვანებას მიღწეული ტატიანა ქალდიაკვნად დაადგინეს. როცა რომის იმპერიის განმგებელი 16 წლის ალექსანდრე სევერი გახდა, მთელი ძალაუფლება ხელთ იგდო ქრისტიანების უბოროტესმა მტერმა და მდევნელმა ულპიანემ, რომელმაც უამრავი მორწმუნის სისხლი დაღვარა. იმ ძნელბედობის ჟამს ქალდიაკვანი ტატიანაც შეიპყრეს. მას აიძულებდნენ მსხვერპლი შეეწირა კერპისათვის, წმინდანმა ილოცა და ანაზდად დიდი მიწისძვრა მოხდა, რომელმაც ტაძრის ის ნაწილი დაანგრია, სადაც კერპთმზორავი ქურუმნი და მრავალი წარმართნი იდგნენ. მაშინ გაცოფებულმა წარმართებმა ცემა დაუწყეს წმიდა ქალწულს და თვალებიც დასთხარეს, მაგრამ იგი მხნედ იტანდა ყოველივეს, ხოლო შემდეგ ქალწულმოწამეს თავი მოჰკვეთეს.

წმიდა მღვდელმთავარი საბა ადრეული სიყრმიდანვე გულმოდგინედ დადიოდა საეკლესიო მსახურებაზე და განსაკუთრებული სიყვარულით იყო განმსჭვალული ბერებისადმი. 17 წლის ასაკში მან ფარულად დატოვა მშობლიური სახლი და ათონის მთაზე პანტელეიმონის სახელობის მონასტერში წავიდა, ხოლო 1219 წელს, ნიკეაში, ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულზე, მსოფლიო პატრიარქმა გერმანემ არქიმანდრიტი საბა მთელი სერბიის მთავარეპისკოპოსად აკურთხა.

მან ფეხით მოვლო პალესტინა, სირია და სპარსეთი, ბაბილონი, ეგვიპტე და ანატოლია, და ყველგან თაყვანს სცემდა წმიდა ადგილებს. იგი მშვიდობით აღესრულა ბულგარეთის ქალაქ ტირნოვოში, თავისი ნათესავის, ასან მეფის სახლში. მღვდელმთავარ საბას წმიდა ნაწილები ბულგარეთიდნ სამშობლოში გადაასვენეს, სადაც წმიდა საბას პატიოსანი ნაწილები მილეშევოს ეკლესიაში დაასვენეს. იქ მისული მრავალი ადამიანი სასწაულებრივ კურნებას ღებულობდა.

**დაიბადნენ:**

**1627** – რობერტ ბოილი, ინგლისელი ფიზიკოსი და ქიმიკოსი. 1662 წელს რ.ტოუნლეისთან ერთად დაადგინა ჰაერის ერთი და იმავე მასისათვის მოცულობის დამოკიდებულება წნევისაგან უცვლელი ტემპერატურის პირობებში. გარდაიცვალა 1691 წელს.

**1736** – ჟოზეფ ლუი ლაგრანჟი, ფრანგი მათემატიკოსი და მექანიკოსი. გარდაიცვალა 1813 წელს.

**1759** – რობერტ ბერნსი, შოტლანდიელი პოეტი. გარდაიცვალა 1796 წელს.

**1784** – მიხეილ ბარათაშვილი, ისტორიკოსი, ქართული მეცნიერული ნუმიზმატიკის ფუძემდებელი. გარდაიცვალა 1856 წელს.

**1861** – ნიკოლოზ ზალინსკი, ცნობილი რუსი ქიმიკოსი. გარდაიცვალა 1953 წელს.

**1874** – უილიამ მოემი, ინგლისელი პროზაიკოსი, დრამატურგი, ნოველისტი. გარდაიცვალა 1965 წელს.

**1894** – მიხეილ ჭიაურელი, სახალხო არტისტი, კინორეჟისორი. გარდაიცვალა 1974 წელს.

**1896** – გრიგოლ ინაიშვილი, მომღერალი. გარდაიცვალა 1968 წელს.

**1900** – მიხა ხელაშვილი. პოეტი, ქაქუცა ჩოლოყაშვილის შეფიცულთაგანი. გარდაიცვალა 1925 წელს.

**1917** – ქეთრინ ვივიანი, ინგლისელი მწერალი, ქართველოლოგი,. თარგმნა „ვეფხისტყაოსანი", სულხან-საბა ორბელიანის „წიგნი სიბრძნე-სიცრიუსა".

**1928** – ედუარდ შევარდნაძე, საქართველოს პრეზიდენტი 1995-2003 წლებში. გარდაიცვალა 2014 წელს.

**1929** – ნოდარ ბერიკაშვილი, მათემატიკოსი, საქართველოს მეცნიერების აკადემიის წევრ-კორესპონდენტი.

**გარდაიცვალნენ:**

**1908** – მიხაილ ჩიგორინი, ცნობილი რუსი მოჭადრაკე.

**1951** – სერგეი ვავილოვი, ფიზიკოსი.

**1960** – ბენო გუტენბერგი, ამერიკელი გეოფიზიკოსი. დედამიწის სეისმურ ტალღათსატარს ეწოდა გუტენბერგის ფენა.

**1990** – ავა გარდნერი, ამერიკელი კინომსახიობი.

**მოვლენები:**

**1912** – ექსპედიცია მკვლევარ როალდ ამუნდსენის ხელმძღვანელობით წარმატებით დაბრუნდა თავიანთ ბაზაში სამხრეთ პოლუსიდან.

**1915** – ალექსანდრე ბელმა პირველად მოახდინა ტელეფონის დემონსტრირება, რომლითაც ნიუ-იორკი სანფრანცისკოს დაუკავშირა.

**1919** – პარიზის სამშვიდობო კონფერენციამ წარმოადგინა ერთა ლიგის შექმნის პრინციპები.

**1981** – პეკინში, მიმდინარე სასამართლო პროცესზე სახელმწიფოს ღალატში დამნაშავეებად ცნეს „ოთხთა ბანდის" წევრები.

**1995** – მოსკოვში, ლენინგრადის პროსპექტზე, განხორციელდა თავდასხმა საქართველოს ყოფილ თავდაცვის მინისტრზე, 28 წლის გენერალ გიორგი ყარყარაშვილზე და მის მოადგილეზე, 36 წლის გენერალ პაატა დათუაშვილზე.

**2004** – გაიმართა საქართველოს ახლად არჩეული პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ინაუგურაცია.

*მედიანიუსი*

## ჯგუფი „ეგარი" დათუნიკა სხირტლაძის შვილს კონცერტებიდან თანხას ჩაურიცხავს

ჯგუფ „ეგარის" ერთ-ერთი წევრი, მომღერალი და ქორეოგრაფი დათუნიკა სხირტლაძე, საახალწლო კონცერტის დროს სცენაზე გარდაიცვალა, მის დაკრძალვამდე 1 საათით ადრე კი მისი ნანატრი შვილი – დავით-თევდორე სხირტლაძე დაიბადა.



ჯგუფ „ეგარის" ყველა წევრმა მიიღო ერთობლივი გადაწყვეტილება დათუნიკას ვაჟისთვის კონცერტებიდან თანხის ჩარიცხვასთან დაკავშირებით:

– დათუნიკა სხირტლაძის მოულოდნელი გარდაცვალება სრულიად საქართველოს ტკივილად იქცა, თუმცა, მიუხედავად ამ ტრაგიკული ამბისა, ქვეყანას მისი გვარის გამგრძელებელი დავით-თევდორე სხირტლაძე მოევლინა და ყველას სიხარული მოგვგვარა.

ჯგუფ „ეგარის" ყველა წევრის გადაწყვეტილებით, ამიერიდან კონცერტებიდან შემოსული თანხიდან დათუნიკას კუთვნილი წილი სწორედ დავით-თევდორე სხირტლაძის ანგარიშზე ჩაირიცხება!..

დღეს დროა, ქართული კულტურის განვითარებაში დათუნიკა სხირტლაძის მიერ შეტანილი ლომის წილისათვის ვალი დავით-თევდორე სხირტლაძეს გადავუხადოთ და გვერდში დავუდგეთ, რათა მამის დანაკლისი თუნდაც ფინანსურად არ იგრძნოს.

ასევე ჯგუფი „ეგარი" მოუწოდებს ქვეყნის მოამაგეებს, ავილოთ ჩვენს თავზე გარკვეული პასუხისმგებლობა დაბადებისთანავე უმამოდ დარჩენილი პატარა ანგელოზის წინაშე და, ვისაც რითი შეგვეძლება, გვერდში დავუდგეთ ოჯახს!

დათუნიკა სხირტლაძის შვილის დავით-თევდორე სხირტლაძის დასახმარებლად თიბისი ბანკში სპეციალური ანგარიში გაიხსნა.

## ვალერი ტორონჯაძე გარდაიცვალა



ახმეტელის თეატრის მსახიობი ვალერი ტორონჯაძე 58 წლის ასაკში გარდაიცვალა. მას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები ჰქონდა.

მსახიობის დასახმარებლად მისი გარდაცვალების დღეს სამტრედიის კულტურის ცენტრში საქველმოქმედო საღამო-კონცერტი უნდა ჩატარებულიყო, რომელშიც ქართველი მომღერლები მიიღებდნენ მონაწილეობას და შეგროვილ თანხას მსახიობს გადასცემდნენ.

ვალერი ტორონჯაძე ახმეტელის თეატრში მისი დაარსების დღიდან მუშაობდა. მის მიერ შექმნილი როლები თეატრის მაყურებელს გამორჩეულად უყვარდა.

მსახიობის სამოქალაქო პანაშვიდები ახმეტელის თეატრში გაიმართება.

ვალერი ტორონჯაძეს სამტრედიაში დაკრძალავენ.

## სოფია სებისკვერაძე მეტროთი მგზავრობას გვირჩევს



ბოლო პერიოდში ცნობილი ქართველი ხელოვანები ფართო საზოგადოებას მოუწოდებენ, იზრუნონ საკუთარ ქალაქზე და ეკოლოგიური კატასტროფების რისკის შემცირებას საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობით შეუწყონ ხელი.

ცნობილი ადამიანების რიცხვს ახმეტელის თეატრის მსახიობი და ქართული ტელესერიალების აქტიური მონაწილე სოფია სებისკვერაძე შეუერთდა.

მსახიობი თეატრში მეტროთი დადის და ფაქტის დამადასტურებელ ფოტოებს ინტერნეტში ავრცელებს:

– მე 15 წუთში ვიქნები სამსახურში, შენ ერთ საათში! იზრუნე ქალაქზე! დაზოგე ნერვები! იმგზავრე მეტროთი! შენ საქართველოს დედოფლობა დაგშვენდებოდაო, მაგრამ ჯერ პატარა ხარო. ყველაფერი წინ გაქვსო – ხმა თბილისის მეტროდან. იმგზავრეთ მეტროთი, დილა მშვიდობისა, საქართველო.

## ნინი ნებიერიძე დედა გახდება



მოდელი ნინი ნებიერიძე, რომელიც მილიონერ თემურ უგულავაზეა გათხოვილი, დედა გახდება.

მოდელი უკვე მეცხრე თვეშია და პირველ შვილს დღე-დღეზე ელოდება. ნინი სოციალური ქსელის აქტიური მომხმარებელია და ხშირად აქვეყნებს ფოტოებს საყვარელ მეუღლესთან ერთად.

ერთ-ერთი ბოლო ფოტო, რომელიც ნინიმ გაავრცელა, მის ორსულობას შეეხება. მიუხედავად იმისა, რომ უკვე 9 თვის ორსულია, მოდელი არაჩვეულებრივ ფორმაშია.

– შხვართი გოგო, თან მეცხრე თვეში, ასეთ ფორმაში, – ასე აფასებს ნინი ნებიერიძეს დიზაინერი ანუკი არეშიძე.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## შოტლანდიელმა თმები კიბოთი დაავადებულებისთვის შეიჭრა



შოტლანდიის ქალაქ აბერდინის მცხოვრებმა ქალმა 140 სანტიმეტრის სიგრძის თმები იმისთვის შეიჭრა, რათა მისი დახმარებით ფული შეეგროვებინა ორგანიზაციისთვის, რომელიც კიბოს დაავადებას სწავლობს.

56 წლის ელეინ მეისის რამდენიმე მეგობარი და ნათესავი კიბოს დაავადებით გარდაიცვალა. მას თმები 1994 წლიდან მოყოლებული არ შეუჭრია, მაგრამ მან განაცხადა, რომ თმებს იმდენი მილიმეტრით დაიმოკლებდა, რამდენ ფუნტ სტერლინგსაც გადაუხდიდნენ თითოეულ მილიმეტრში და ამ თანხას დაავადებასთან ბრძოლას მოახმარდა. შედეგად მეისმა პრაქტიკულად თმები მთლიანად გადაიხოტრა. ამის წყალობით კი მან 2,4 ათასი ფუნტი სტერლინიგის შეგროვება შეძლო.

თმების შეკრეჭის შემდეგ ქალმა აღიარა, რომ კმაყოფილია საკუთარი ახალი ვარცხნილობით და რომ საკმარისად აქვს თავსაბურავები იმისთვის, რომ თავზე არ შესცივდეს.

ელეინ მეისის თმები გადაეცა ორგანიზაციას, რომელიც კიბოს დაავადების მქონე თმებგაცვენილი ბავშვებისთვის პარიკებს ამზადებს.

## ლუდის ბოთლის ფორმის კოსტიუმიანმა ბრიტანელმა პიცა მოიპარა

ბრიტანეთის პოლიცია ეძებს პიროვნებას, რომელმაც, ლუდის ბოთლის ფორმის კოსტიუმში გამოწყობილმა, პიცა მოიპარა.

ინციდენტი უელსის ქალაქ ბარიში ახალი წლის ზეიმის დროს მოხდა, თუმცა მის შესახებ ინფორმაცია მხოლოდ ახლახან გავრცელდა. რესტორნების ქსელის ერთ-ერთმა მომხმარებელმა შეაღწია კვების დაწესებულების თანამშრომლებისთვის განკუთვნილ ნაწილში, აიღო ორი ცალი პიცა და ფულის გადაუხდელად დატოვა შენობა.

მომხდარი სათვალთვალო კამერამ გადაიღო. პოლიციის მიერ გამოქვეყნებულ კადრში ჩანს ლუდის ბოთლის ფორმის კოსტიუმში გამოწყობილი მამაკაცი, რომელიც გზას მიიკვლევს საზეიმოდ გამოწყობილ ხალხში, რომლითაც სავსე იყო რესტორანი.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## პროგრამა

**ოთხშაბათი 25 იანვარი**

**07.00** დოკ/ფ "ჩრდილოეთ ამერიკა" **08.00** "ჯიმი ნიუტრონი-გენიოსი ბიჭუნა" **08.30** დ/სერ. "ჯეიმი ოლივერის კერძები 30 წუთში" **09.00** "მოამბე დილას" **10.00, 12.00, 16.00, 18.00, 20.00** "მოამბე" **10.10** "პირადი ექიმი" **11.00, 19.00** ტ/სერ. "**კედრის ყურე**" **12.30** "სპორტის დაფა" **12.45** "კაცების დრო" **13.45** "ტელემანი" **14.00** "წიგნების თარო" **14.30** "დღე მუზეუმში" **15.00, 02.00** "x სტუდია" **16.30** "ეკონომეტრი" **17.00, 03.00** "რეალური სივრცე" **21.00** ტ/სერ. "**შურისძიება**" **22.00** "მთავარი" - თამარ ჩიქოვანთან ერთად **23.00** ტ/სერ "**მთავრობა**" **00.00** მხ/ფ "**ბორნის ულტიმატუმი**" (მ.დეიმონი)

**08.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" **09.00** დ/ფ "სამყარო" **10.00** "გეოფაქტორი" **10.15** მხ/ფ "**მერვე გვერდი**" **12.00** ტ/სერ. "**ევას სამი ვარდი**" **13.00** ტ/სერ. "**ჩენტო ვეტრინე**" **14.00** დ/ფ "ენტონი ბურდეინი წინასწარი შეკვეთის გარეშე" **15.00, 18.00** "ბრიფინგის დრო" **17.00** დ/ფ "სამყარო" - ზეახალი ვარსკვლავი **19.00** "თავისუფალი ტრიბუნა" **20.00** "მოამბე" **21.00** "არგუმენტების დრო" **22.00, 01.00** ტ/სერ. "**ბორგო ლარიჩის სიდუმლოებანი**" **23.00** "მოამბე" (3 ენაზე) **00.30** "ნამდვილი დრო"

**06.30, 16.00** სერ. "**თანხმობა**" **07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.30, 04.00** ქრონიკა **07.35, 08.15, 08.35, 09.15** იმედის დილა **10.05** სერ. "**პატარძალი**" **11.20** სერ. "**გონული**" **12.30** დღის შოუ **14.40** სერ. "**ფიცი**" **16.00** სერ. "**ელიფი**" 1 სერ. **17.35, 19.03** სერ. "**მოპარული ცხოვრება**" **20.55** სერ. "**შავი ვარდი**" **22.00** ეკა ხოფერიას თოქ შოუ **23.30** მხ/ფ "**მოწმე**" **01.30** მხ/ფ "**ტრანსფორმერები**" **04.15** მხ/ფ "**ანგელოზები: სიყვარულის ამბავი**"

**06.00** სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" **06.45, 20.10** სერ. სერ. "**დიდებული საუკუნე-ქოსემის რისხვა**" **07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15** დილამშვიდობისა საქართველო **07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **10.15** სერ. "**დინასტია**" **12.30** "სხვა შუა დღე" **13.55** სერ. "**ცრემლების გვირგვინი**" **15.55** სერ. "**ინდური საგა**" **16.55** სერ. "**ცხოვრების გზები**" **18.50** გათამაშება (ისი პარი) **19.20, 20.03** სერ. "**ოქროს გალია**" **22.00** ნანუკას შოუ **23.30** გააცინე და მოიგე (ბესტი) **00.30** სერ. "**დროში დაკარგული**"

**08.00** ან/სერ. "**ფანბოი და ჩამ-ჩამი**" **09.00, 19.00** სერ. "**დოქტორი ჰაუსი**" **11.00** სერ. "**კერძო პრაქტიკა**" **13.00** სერ. "**ჩიკაგოს მეხანძრეები**" **15.00** გვიანი შუადღე **17.00** სერ. "**სასოწარკვეთილი დიასახლისები**" **18.00** სერ. "**სკანდალი**" **21.00** საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები **22.00** სერ. "**მოტივი**" **23.00** სერ. "**როგორ ავიცილოთ სასჯელი მკვლელობისთვის**" **00.00** მხ/ფ "**25-ე საათი**" **02.30** მხ/ფ "**გველის თვალები**" **04.20** მხ/ფ "**სიღრმიდან ამოსვლა**"

**06.15** დროის ჩანაწერები **07.00** მართლმადიდებლური კატეხიზმო **07.30** ჩვენი ფონდი **08.00** დილის ლოცვა **08.20** სახარება **08.30** "განთიადი" **10.10, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.30** დ/ფ "ორშაბათ საღამოს" **11.20** ბიბლია ბავშვებისათვის **11.30** მგზავრები წუთისოფლისა **12.10** ღია აუდიტორია **13.00** ერთიანი მშვიდობიანი კავკასია **13.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" **14.30** გამოყენებითი ხელოვნება "კერამიკა" **15.00** საეკლესიო კალენდარი **15.10** ქართ. ან/ფ **15.30** დ/ფ "ველური ბუნება-უცნაური ზებრები" **16.00** კონცერტი **16.45** ეპოქა და ადამიანები "ექვთიმე თაყაიშვილი" **17.30** ძველი აღთქმის წინასწარმეტყველები **18.10** "განთიადის" სტუმარი **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.20** მხ/ფ "**გამოაღეთ ფანჯრები**" **20.40** ძილი ნებისა **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.20** ღვთის სახლი **21.35** ეპოქის სახელები **22.25** ქართული ალბომი **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** საუბარი მოძღვართან **23.35** ღვთის სახლი "მოქვი" **00.25** ისტორიის დღიური **01.00** დ/ფ "ვარძია" **01.30** "შუადღე ერთსულოვნებაზე" (გამეორება)

მაესტრო **7.00** "კონტაქტი" **7.30** ანიმაცია "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) **7.50** "ქვიშის ზღაპარი" **8.00** სერ. "**კარმელიტა**" **9.00** სერ. "**ქალბატონი**" **10.00, 2.00** სერ. "**ორი გული**" **11.00** "სიყვარულის იმპერია" **12.00** "კონტაქტი თორმეტზე" **12.30, 0.30** "ბიზნეს კონტაქტი" **13.30, 15.30, 3.00** სერ. "**უკანასკნელი მაგიკიანი**" **15.00** "კონტაქტი სამზე" **16.00** სერ. "**მარისა**" **18.00** "კონტაქტი ექვსზე" **18.50** სერ. "**მორიგე ექიმი**" **19.55** "დამზადებულია საქართველოში" **20.00** "კონტაქტი რვაზე" **20.55** სერ. "**მიცანი თუ შელებ**" **21.55** სერ. "**პაემანი**" **22.40** სერ. "**მახე**" **1.30** "კონტაქტი"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**25 იანვრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.6868 |
| ევრო | 2.8891 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.3496 |
| 100 რუსული რუბლი | 4.5244 |

## ამინდის პროგნოზი 25 იანვრისთვის








## 20 იანვრიდან
დიდი ქართველი მეფეები
ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი


## იუმორი



ქალი ექიმს ეუბნება:

– ჩემი ქმარი თავის მამაკაცურ მოვალეობას ვეღარ ასრულებს და იქნებ მიშველოთ რამე?

– ქალბატონო, აი ეს წამალი მიეცით ხშირ-ხშირად.

ხუთი დღის შემდეგ ქალი ისევ მივიდა ექიმთან.

– როგორაა შენი ქმარი? – ეკითხება ექიმი.

– მოკვდა, ექიმო და ისევ თქვენ უნდა მიშველოთ, რაიმე წამალი გექნებათ.

– ქალბატონო, სამწუხაროდ, მე მკვდრებს ვერ ვაცოცხლებ.

– გაცოცხლებას ვინ გთხოვს, ექიმო, კუბოს თავს ვერ ვახურებთ...

●●●

ამერიკული ტელეარხი გადმოსცემს ახალ ამბებს:

– დონალდ ტრამპის საწინააღმდეგო მიტინგზე ნახევარ მილიონზე მეტი, მის მიერ გაუპატიურებული ქალი გამოვიდა და ეს მხოლოდ ვაშინგტონში!..

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება?

– წუხელის სად იყავი?

– მეგობართან ვიყავი. მთელი ღამე ჭადრაკს ვთამაშობდით.

– მერე, ვინ ვის?

– რა ვინ ვისს?! ჭადრაკს ვთამაშობდით.

●●●

მოსამართლე ბრალდებულს ეკითხება:

– რატომ არ აიყვანეთ დამცველი?

– ყველა ადვოკატი უარს აცხადებს ჩემ დაცვაზე, როგორც კი იგებენ, რომ ის ხუთი მილიონი მართლა არ მომიპარავს.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*


მოიკითხეთ ყველაზე მრავალფეროვანი, საინტერესო და ხელმისაწვდომი ჟურნალ-გაზეთები პრესის გავრცელების სამსახურის სტელაჟებზე.



## 24 იანვრიდან
მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები
ჯეინ ოსტინი
გონება და გრძნობა
ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი



## 26 იანვრიდან




ურჩხული და მზეთუნახავი
მაგარი ყდა, 64 ფერადი გვერდი
ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

## 25 იანვრიდან




კანდიდ ჩარკვიანი
სტალინთან ურთიერთობის ეპიზოდები
ფასი გაზეთთან ერთად 8 ლარი

## 27 იანვრიდან
დონალდ ტრამპი
იფიქრე ჩემპიონივით




ფასი გაზეთთან ერთად 9 ლარი


## ჯერარდი ლივერპულს ვან დაიკის შეძენას ურჩევს



ლივერპულის ლეგენდა სტივ ჯერარდმა კლუბის ხელმძღვანელობასა და მენეჯერს სთხოვა, ზამთრის სატრანსფერო ფანჯარისას დაფიქრებულიყვნენ საუთჰემპტონის ჰოლანდიელი მცველის, ვირჯილ ვან დაიკის გადმობირებაზე.

„წმინდანების" მცველი საუცხოო სეზონს ატარებს და თავისი უმაღლესი კლასი პირადად ლივერპულთან დაამტკიცა. მიმდინარე პრემიერლიგის გათამაშებაში იშვიათია, ლივერპულმა მოედანი უგოლოდ დატოვოს – გამონაკლისი „სენტ მერია", სადაც კლოპის ბიჭები ორჯერ მოხვდნენ, მაგრამ ვერაფერი მოუხერხეს ჰოლანდიელ გიგანტ უკანახაზელს.

მერსისაიდელთა ხელმძღვანელობას დიდი ხანია გახსნილი აქვს სეიფი, უკანასკნელი 3 სეზონის განმავლობაში 100 მილიონი გირვანქა სტერლინგი იქნა დახარჯული მხოლოდ საუთჰემპტონის ფეხბურთელებში: რიკი ლამბერტი, ადამ ლალანა, ნათანიელ კლაინი, სადიო მანე, დეიან ლოვრენი ლივერპულში გადავიდნენ.

ჯერარდის აზრით, დღევანდელი ფორმაციის ლივერპულს ყველაზე მეტად ვან დაიკი სჭირდება.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

## ჟერარ დელოფეუ სეზონის ბოლომდე მილანში ითამაშებს

ახალგაზრდა ესპანელი ნახევარმცველი ჟერარ დელოფეუ იჯარის სახით იტალიურ მილანში გადავიდა, სადაც სეზონის ბოლომდე ითამაშებს.

ევერტონმა მილანს გამოსყიდვის უფლებაზე უარი უთხრა, ამიტომ ზაფხულში დელოფეუ ისევ ინგლისში დაბრუნდება.

ამჟამად ესპანელი ფეხბურთელი უკვე მილანთან ერთად ვარჯიშობს და მან, შესაძლოა, უკვე ოთხშაბათს ითამაშოს იტალიის თასზე იუვენტუსის წინააღმდეგ.



დელოფეუმ განაცხადა, რომ მილანი ლეგენდარული გუნდია და იქ თამაშში მისთვის ძალიან კარგი შანსი იქნება, რომ თავისი პოტენციალი უკეთესად წარმოაჩინოს.

დელოფეუმ ასევე იმედი გამოთქვა, რომ მილანში ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელი იქნება.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## შოთა არველაძეს თურქეთში ეპატიჟებიან



შოთა არველაძემ, რომელიც ცოტა ხნის წინ მაკაბიდან გაათავისუფლეს, შესაძლოა, სამწვრთნელო კარიერა თურქეთში გააგრძელოს.

არველაძეს ალანიასფორი ეპატიჟება, რომელიც ამჟამად თურქეთის ჩემპიონატში მე-14 ადგილზეა და ცუდი შედეგების გამო მწვრთნელის გარეშეა დარჩენილი.

არველაძის გარდა, ამ კლუბის ხელმძღვანელობა კიდევ რამდენიმე კანდიდატს განიხილავს, მაგრამ, თუ შოთამ თანხმობა განაცხადა, დიდი შანსია, ეს პოსტი სწორედ მან დაიკავოს.

არველაძეს თურქეთში ადრეც უმუშავია.

## კოუტინიო ლივერპულთან კონტრაქტს გაახანგრძლივებს

ბრაზილიელი ფეხბურთელი ფილიპე კოუტინიო უახლოეს დღეებში ლივერპულთან კონტრაქტს გაახანგრძლივებს.

კოუტინიოს ახალი კონტრაქტი 2021 წლამდე იქნება, მისმა ანაზღაურებამ კი, შესაძლოა, მოიმატოს. კონტრაქტის სხვა დეტალები ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

კოუტინიო ლივერპულში 2013 წელს გადავიდა და ბოლო წლებში გუნდის ერთ-ერთი საკვანძო ფიგურა და ლიდერია, რომლის გარეშეც ინგლისურ კლუბს ძალიან უჭირს. აღსანიშნავია, რომ კოუტინიოს საკმაოდ სერიოზული ტრავმა ჰქონდა და მოედანს მხოლოდ ერთი კვირის წინ დაუბრუნდა.

## ავსტრალიაში შვეიცარიული ნახევარფინალი იქნება



ავსტრალიის ღია პირველობა ჩოგბურთში დასასრულს უახლოვდება და უკვე ნახევარფინალების დროც დადგა.

ერთ ნახევარფინალში ერთმანეთს ორი შვეიცარიელი ჩოგბურთელი დაუპირისპირდება. მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი როჯერ ფედერერი და სტანისლას ვავრინკა ერთმანეთში გაარკვევენ ფინალისტის ვინაობას და ამ შეხვედრას მთელი საჩოგბურთო სამყარო მოუთმენლად ელის. ფედერერმა მეოთხედფინალში ალექსანდრ ზვერევი ადვილად სამ სეტში დაამარცხა, ვავრინკამ კი ჟო ვილფრედ ცონგას აჯობა. შვეიცარიული ჯახი ხუთშაბათს შედგება და ამ შეხვედრას ფავორიტი არ ჰყავს. ფედერერის თქმით, ის ამჟამად ძალიან კარგ ფორმაშია და შეუძლია ავსტრალიის ღია პირველობის მოგება.

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. მოკარნახე თეატრში; 2. ასაფეთქებელი ჭურვი; 3. გონებასუსტი ადამიანი; 4. კონიაკის მწარმოებელი უძველესი ფრანგული ფირმა; 7. პორტატიული მფრინავი აპარატი; 9. პროფესიონალი გამრთობი ქალი იაპონურ საჩაიეებში; 12. საავტომობილო საბურავების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 14. ინდონეზიის ერთ-ერთი კუნძული; 15. ნიკო ფიროსმანის ფერწერული ტილო; 17. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული ლამისებრთა ოჯახის ძვირფასბეწვიანი ცხოველი; 20. ორსართულიანი ლაზური სახლი.

**თარაზულად**: 5. მრავალსართულიანი კარსტული მღვიმე ტყიბულის მახლობლად; 6. მეთოთხმეტე საუკუნის ქართველი ფერმწერი, მოხატა უბისის მონასტერი; 8. თამბაქოს წარმოების ერთ-ერთი ცენტრი თურქეთში; 10. სასტამბო ასოთამწყობი მანქანა; 11. მონარქიული სახელმწიფო აზიაში; 13. გერმანული ლუდი; 16. ხუროთმოძღვრული ძეგლი, მონასტერი რაჭაში; 18. მდინარე გურიაში; 19. ქვეწარმავლის შხამი; 21. რაიონული ცენტრი კახეთში; 22. კლიმატურ-ბალნეოლოგიური კურორტი გაგრის რაიონში; 23. მევენახეობა-მეღვინეობის ოლქი იტალიაში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

